დანართი # 1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნეს ანალიტიკა, ბაკალავრიატი

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2023 წლის 7 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2023 წლის 27 ივლისი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 14

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 14

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 28

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 38

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა 40

5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები 50

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პანდელის იპსილანდისი, თესალიის უნივერსიტეტი, საბერძნეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთევან ქავთარაძე, დამსაქმებელი, შპს Focus Studio- ს აღმასრულებელი დირექტორი, შპს DataBeat-ის თანადამფუძნებელი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, განათლების ექსპერტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკა ავსაჯანიშვილი, დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	**ბიზნეს ანალიტიკა**
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Business Analytics
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი, უმაღლესი განათლების პირველი საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	**ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი**
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**მენეჯმენტი და ადმინისტრაცია 0413**
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	**ინგლისური**
ECTS კრედიტების რაოდენობა	**240**
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	**ახალი**
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

---

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

ბიზნეს ანალიტიკა ახალი პროგრამაა, რომლის შეთავაზება ინგლისურ ენაზე დაგეგმილი აქვს, თბილისში მდებარე, საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესისა და ადმინისტრირების სკოლას. იგივე პროგრამა ქართულ ენაზე უკვე გადის აკრედიტაციის პროცესს. პროგრამის მიზანია დააკმაყოფილოს საჭიროებები, რომლებიც სამუშაო შეთავაზებების შესწავლასთან ერთად, განსაზღვრული იყო შრომის ბაზრის, მათ შორის, ბიზნეს კონსულტაციისა და პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიების წარმომადგნელების მიერ. პროგრამის მიზანია მოამზადოს ღრმა ცოდნის მქონე კურსდამთავრებულები ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში, რომლებიც ასევე აღჭურვილი არიან თანამედროვე ანალიტიკური უნარებით, და შეძლებენ კარიერულ წინსვლას ქართულ და საერთაშორისო კომპანიებში.

პროგრამა ეფუძნება რესურსებს როგორც ბიზნესისა და ადმინისტრაცის სკოლიდან, რომელიც უკვე სთავაზობს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებს, ასევე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლიდან, რომელიც სთავაზობს პროგრამებს ინფორმატიკასა და მათემატიკაში. მთლიანობაში, პროგრამას განახორციელებს აკადემიური პერსონალის 15 წევრი (5 პროფესორი - ყველა აფილირებული და 10 ასოცირებული პროფესორი - აქედან, 7 აფილირებულია). პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს მნიშვნელოვანი პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილება [32 ნაშრომი საერთაშორისო ჟურნალებში, 22 ადგილობრივ ჟურნალებში, პრეზენტაციები კონფერენციებზე (19 საერთაშორისო, 14 ადგილობრივი), წიგნების ავტორობა და მონაწილეობა კვლევით პროექტებსა და სამეცნიერო გრანტებში). გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 22 მოწვეული თანამშრომელი, რომელთა უმრავლესობას აქვს დიდი პროფესიული გამოცდილება ბიზნეს ანალიტიკის სფეროში, თუმცა ზოგიერთს სწავლების შეზღუდული გამოცდილება გააჩნია და ესაჭიროება გადამზადება აკადემიურ მიდგომებსა და გარემოში. სტუდენტების ჩარიცხვის ამჟამინდელი პროგნოზი წელიწადში - 24 ქართველი და უცხოელი სტუდენტია.

პროგრამა კარგად არის დაგეგმილი; ზოგიერთმა ცვლილებამ შეიძლება გაამლიეროს მისი ბიზნეს და მენეჯმენტის ორიენტაცია. პროგრამის მთავარი გამოწვევაა სწავლებისა და სწავლის პროცესის მართვა ისე, რომ გაზარდოს ინფორმატიკისა და ანალიტიკის წვლილი ბიზნესსა და მენეჯმენტში, რომ პროგრამამ შეინარჩუნოს ბიზნესის ადმინისტრირების ორიენტაცია და, ამავე დროს, გამოიყენოს ანალიტიკური მეთოდებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უნარები ბიზნესის ფუნქციების ეფექტურობისა და ეფექტიანობის და გადაწყვეტილების მიღების ოპტიმიზაციის მხარდასაჭერად. საჭიროა მასწავლებლების სინერგია და ერთობლივი მუშაობა, რათა თავიდან ავიცილოთ სტუდენტებისთვის ფრაგმენტული ცოდნის გადაცემა.

- **ადგილზე ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა ოთხშაბათს, 7 ივნისს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პანელს მიაწოდა მიღებული დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავდა

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

თვითშეფასების ანგარიშს (SER), პროგრამის აღწერილობის დოკუმენტს, რომელსაც თან ახლავს პროგრამის ყველა კურსის დეტალური სილაბუსები, საგანმანათლებლო პროგრამების უნივერსიტეტის დებულებების ასლი, საბაკალავრო პროგრამის დებულებები, აკადემიური პერსონალის CV- ები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთები, პროგრამის ბიუჯეტი და სხვა შესაბამისი დოკუმენტები. ვიზიტამდე პანელს ჰქონდა წინასწარი მოსამზადებელი შეხვედრა 11 მაისს, რასაც მოჰყვა მეორე 1 ივნისს.

ვიზიტის ფარგლებში პანელს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა და გასაუბრებოდა ბიზნესისა და ადმინისტრაციის სკოლის დირექტორს, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებს (ზოგიერთი ონლაინ), იმავე ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტებს, დამსაქმებლებს (ონლაინ) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. ყველა მონაწილე იყო ძალიან თანამშრომლობითი და მზად იყო მონაწილეობა მიეღო დისკუსიაში ღიად და გულწრფელად. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მიწოდების თაობაზე პროფესიონალურად და ეფექტიანად დაკმაყოფილდა ვიზიტის განმავლობაში.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველა მონაწილეს თანამშრომლობისა და დისკუსიებში ნაყოფიერად მონაწილეობისათვის. იმის გამო, რომ პროგრამა ჯერ არ ფუნქციონირებს, პანელი შეხვდა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტებს (ქართველებს და უცხოელებს). ექსპერტთა პანელმა განიხილა სწავლებისა და სწავლის პროცესთან დაკავშირებული საკითხები, ასევე სტუდენტების მხარდაჭერა და მომსახურება, თუმცა მოცემულ ვითარებაში ანგარიში არ ასახავს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეხედულებებს კონკრეტულ პროგრამაზე.

პასუხი საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნეს ანალიტიკის პროგრამის არგუმენტირებულ პოზიციაზე

2023 წლის 21 ივლისს ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო არგუმენტირებული პოზიცია აკრედიტაციის დასკვნის პროექტთან დაკარავშირებით, რომელიც მოიცავდა პროგრამისა და სკოლის ადმინისტრაციის შენიშვნებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ.
საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მოხარულია, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა კარგად იქნა მიღებული სკოლისა და პროგრამის ხელმძღვანელობის მიერ, როგორც ნაწილობრივ, ასევე სრულად. ექსპერტთა ჯგუფს სურს დააზუსტოს რამდენიმე პუნქტი:

- გარკვეულ შემთხვევებში (მაგ. პუნქტები #6, #19, #20, #21 AP დოკუმენტში) ექსპერტთა შეფასება ეფუძნება გამოკითხული სტუდენტების მიერ მოწოდებულ მტკიცებულებებს, როგორც ეს აღწერილია ნარატიულ ნაწილში.
- ანალოგიურად, #6 რეკომენდაციისთვის შეფასება ეფუძნება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებას, რაც არ ადასტურებს შესაბამისი ტრენინგების ეფექტურობას.
- რეკომენდაცია #16 შეიცვალა და გადაკეთდა რჩევად იმის გათვალისწინებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო სტაჟირება მეტად ღირებულია სტუდენტებისთვის, შეიძლება რთული იყოს მისი განხორციელება საერთაშორისო სტუდენტებთან ერთად, განსაკუთრებით კი პროგრამის საწყის ეტაპზე. შესაბამისად,

სტანდარტის 2.2 შეფასება შეიცვალა და გახდა „სრულად არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“.

- რეკომენდაციები #5, #10 და #22 არ არის თავისი არსით ერთმანეთის მსგავსი. #5 ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულად სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმზე. #10 მიზნად ისახავს პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებს შორის სინერგიის დონის ამაღლებას, ხოლო #22-ის მიზანია გაზარდოს პროგრამის დაინტერესებული მხარეების კოლექტიური მონაწილეობა, რათა მათი მონაწილეობა არ შემოიფარგლებოდეს საბჭოზე გამოთქმული მოსაზრებებით.
- შესაბამისი ცვლილებები შევიდა სტანდარტი 1.1 1.3-ის ნარატიულ ნაწილში; ასევე სტანდარტის 1.4 და 3.1-ის ნაწილში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

პროგრამა არის ინოვაციური, პასუხობს შრომის ბაზარს, რომელსაც სჭირდება საკმაოდ მდიდარი გამოცდილებითა და ბიზნესისა და მენეჯმენტის ფუნქციების ცოდნით აღჭურვილი კადრი, რომლებსაც შეუძლიათ შეაფასონ ანალიტიკის როლი ბიზნეს ფუნქციების მხარდაჭერაში და არის ინფორმაციული ტექნოლოგიების აპლიკაციების კომპეტენტური მომხმარებელი, იყენებს ანალიტიკურ მეთოდოლოგიებს და წყვეტს ბიზნეს პრობლემებს. პროგრამის სტრუქტურა ეფუძნება 4 კომპონენტს - ბიზნესი/ მენეჯმენტი, ბიზნეს ანალიტიკა, ინფორმატიკა და რაოდენობრივი მეთოდები. ბიზნესი/ მენეჯმენტი უნდა გაძლიერდეს ისე, რომ პროგრამა შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და აუცილებელია ტექნიკურ და ბიზნეს კომპონენტებს შორის სინერგია. სწავლის შედეგები კურსისა და პროგრამის დონეზე, როგორც წესი, შეესაბამება საფეხურის დონეს და მიზნებს, მაგრამ საჭიროა გარკვეული ტექნიკური შესწორებები, რათა ინფორმაცია გასაგები იყოს დაინტერესებული მხარეებისთვის.

-პროგრამის მიზნები *<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>*

-პროგრამის სწავლის შედეგები *<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>*

-პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი *<u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>*

-საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი *<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>*

-სასწავლო კურსი/საგანი *<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მოთხოვნებთან</u>*

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ფასდება, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

მიღების პროცედურები ნათელია, პროგრამა მიზნად ისახავს მაღალი დონის სტუდენტების მიღებას. რამდენადაც შერჩევის კრიტერიუმები და პროცესი ნათელია ქართველი სტუდენტებისთვის, ამ ეტაპზე ეს ასე არ არის უცხოელი სტუდენტებისთვის. პროგრამას აქვს

ძლიერი პრაქტიკული ორიენტაცია და სწავლებისა და სასწავლო აქტივობების სიმრავლე, რაც მიზნად ისახავს სტუდენტების პრაქტიკული უნარ- ჩვევების განვითარებას. ბიზნეს ანალიტიკაში სტაჟირება მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან სტუდენტებისთვის აუცილებელია რეალურ ბიზნეს ანალიტიკის აპლიკაციებთან მუშაობა. ექსპერტები ამჯობინებენ, რომ სტაჟირება გახდეს სავალდებულო, მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებენ განხორციელების კუთხით არსებულ სირთულეებს, რამეთუ პროგრამა საერთაშორისო სტუდენტებს მოიცავს. მიუხედავად ამისა, სტაჟირების შესაძლებლობების შექმნა და სტუდენტების ამ არჩევანისკენ წარმართვა აუცილებლად შემატებს პროგრამას მეტ ღირებულებას. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ბაკალავრიატის დონეზე განავითარონ გარკვეული კვლევითი უნარები კურსების, საბაკალავრო პროექტისა და ნაშრომის, სტუდენტური კონფერენციებისა და აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური კვლევითი პროექტების მეშვეობით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეფასებულია, როგორც *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

-პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება შეფასებულია, როგორც *სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

-სწავლა- სწავლების მეთოდები შეფასებულია, როგორც *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

-სტუდენტთა შეფასება *სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შეფასებული როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სტუდენტების მხარდაჭერას სთავაზობენ როგორც ჩარიცხვის დროს, ასევე სწავლის განმავლობაში ძირითადად Online UG-ისა და My UG-ის საშუალებით და მოთხოვნის შემთხვევაში ინიშნება კონსულტაციები პედაგოგებთან. ისეთი სერვისები, როგორიცაა კარიერა და დასაქმება, საერთაშორისო გაცვლები, სხვა სოციალური/ მეცნიერული აქტივობები სტუდენტებს ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით მიეწოდება. გარკვეული ხარვეზები გამოიკვეთა ძირითადად აპელაციის პროცესთან დაკავშირებით. ასევე, გამოვლინდა საბიბლიოთეკო სერვისების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა (ძირითადად სამეცნიერო ბაზასთან დაკავშირებით). სტუდენტების კონსულტაციისთვის გამოყოფილი საათები ფიქსირებული უნდა იყოს თითოეული პედაგოგისთვის, უნდა გამოცხადდეს ყოველი სემესტრის დასაწყისში და შესაბამისი ინფორმაცია ადვილად უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის.

-სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

-მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - *არ არის მითითებული*

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შეფასებულია როგორც *სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

პროგრამას ახორციელებს 37 აკადემიური და 22 მოწვეული პერსონალი მენეჯმენტისა და ბიზნესის სწავლების და ინფორმატიკისა და მათემატიკის ფაკულტეტებიდან. აკადემიური

პერსონალი უაღრესად გამოცდილია პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობაში. მოწვეული პერსონალი ძირითადად სხვადასხვა ორგანიზაციისა და კომპანიის პროფესიონალებს წარმოადგენს, რომლებიც პრაქტიკაში ანალიტიკასთან კავშირში არიან, და თუ ისინი სათანადოდ გაეცნობიან აკადემიურ გარემოს, შეუძლიათ თავიანთი ღირებული გამოცდილება შეიტანონ აუდიტორიაში. მთავარი გამოწვევა „ტექნიკური“ საგნების (ინფორმატიკა, ანალიტიკა, რაოდენობრივი) პედაგოგებსა და ჩვეულებრივი ბიზნესის საგნების პედაგოგებს შორის სინერგიის შექმნაა, ისე რომ ანალიტიკა განიხილებოდეს ტექნიკური თვალსაზრისით, მაგრამ მისი წვლილი ბიზნეს პრობლემების გადაჭრაში უნდა შენარჩუნდეს.

-ადამიანური რესურსები *სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

-მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია - *არ არის მითითებული*

-აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - *სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

-მატერიალური რესურსები - *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შეფასებულია, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

ხარისხის შიდა უზრუნველყოფას უნივერსიტეტში კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საუნივერსიტეტო სკოლების ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან ერთად შესაბამისი რეგულაციებისა და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და საქართველოს უნივერსიტეტის სკოლები ჩართულნი არიან მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში სამიზნე ჯგუფების გამოკითხვისა და სასწავლო პროცესზე დაკვირვების გზით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს შედეგებს, ავლენს სისუსტეებს, თუმცა ანგარიში რაიმე შესწორებების შესახებ წარმოდგენილი არ იყო. გარე შეფასებას ახორციელებენ დამსაქმებლები და დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტთან, რაც ართულებს მიუკერძოებლობის შენარჩუნებას. გარე შეფასებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას კურსდამთავრებულთა მოსაზრებებიც. პროგრამის დაგეგმილი პერიოდული მონიტორინგი და განხილვა შეიძლება გაძლიერდეს ურთიერთდაკვირვებით და მოიცავდეს პერსონალის სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

-შიდა ხარისხის შეფასება - *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

-გარე ხარისხის შეფასება - *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

-პროგრამის მონიტორინგი და პერიოდის განხილვა - *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

რეკომენდაციები

- პროგრამის აღწერა და მისი მიწოდება დაინტერესებულ მხარეებისთვის უნდა ასახავდეს პროგრამის მახასიათებლებს და მოერიდოს მომიჯნავე პროფესიულ სფეროებზე (მაგ. ფინანსური ანალიტიკოსი, სტატისტიკური ანალიტიკოსი და ა.შ.) მითითებას.

- გაფართოვდესშრომის ბაზრის კვლევა იმგვარად, რომ მოიცვას საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორი, ვინაიდან ბიზნეს ანალიტიკის კურსდამთავრებულს ნებისმიერ ინდუსტრიაში მუშაობის შესაძლებლობა აქვს.
- შრომის ბაზრის კვლევა და დასაქმების შეთავაზებების შესწავლა უნდა მოიცავდეს საერთაშორისო ბაზარს, რადგან პროგრამა საერთაშორისო სტუდენტებზეცაა ორიენტირებული.
- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები იმგვარად, რომ ასახავდეს სტუდენტების მოლოდინს ცოდნისა და უნარების შესახებ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, და ხაზი უნდა გაესვას პროგრამის ფილოსოფიასა და დასაბუთებას.
- პროგრამის სწავლის შედეგები ასევე უნდა მოიცავდეს ტრანსფერულ უნარებს, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი და ა.შ.
- სასწავლო გეგმის რუკა უნდა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამების გარკვეული შედეგების მიღწევის (შესავალი, გაღრმავება, დაუფლება) სათანადო დონეები.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამამ შეადგინოს სათანადო და თანმიმდევრული დოკუმენტი, რომელიც განმარტავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, მათ შორის პირდაპირი შეფასების მეთოდებს შესაბამისი ინსტრუმენტებით, სასურველ მიზნებს, განსაზღვრავს მიზნიდან გადახრის შესაძლო ზღვარს, განსაზღვრავს რეაგირების მექანიზმებს სამიზნე ნიშნების ვერ მიღწევის შემთხვევაში; საჭიროების შემთხვევაში ჩამოაყალიბებს არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს მკაფიო და თანმიმდევრული მექანიზმით.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს მხარდაჭერა და გაიაროს ხშირი ტრენინგები სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად. ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა;
- გადაიხედოს პროგრამის შინაარსი იმ კომპონენტების დამატების მიმართულებით, რომლებიც აძლიერებს მის ბიზნეს/ მენეჯმენტის პროფილს და თავსებადია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ისეთი საგნები, როგორიცაა მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა, რისკების მართვა, ბუღალტერია, ბიზნეს სტრატეგია არა მხოლოდ ძირითადი კომპონენტებია ბიზნესის ადმინისტრირებაში, არამედ მნიშვნელოვანია ბიზნეს ანალიტიკის აპლიკაციებისთვის.
- შეიქმნას პროგრამის საბჭო, რომელშიც შევლენ პროგრამის ხელმძღვანელები და ოთხი კომპონენტის ხელმძღვანელები (ბიზნესი/ მენეჯმენტი, ინფორმატიკა, ბიზნეს ანალიტიკა, მათემატიკა/ რაოდენობრივი მეთოდები), რომლებიც გადახედავენ კურსებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში/ ბიზნესის ანალიტიკაში/ რაოდენობრივ მეთოდებსა და მათემატიკაში და მოარგებენ მათ შინაარსს ბიზნესის/ მენეჯმენტის მიმართულებას.
- ამაღლდეს სხვადასხვა სფეროს კურსებს შორის სინერგიის დონე.
- ჩატარდეს ტრენინგი პედაგოგებისთვის სწავლისა და შეფასების პროცესში სწავლის შედეგების მნიშვნელობასთან, წერასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.
- გაიზარდოს პროგრამის კურსების საკონტაქტო საათები კრედიტების რაოდენობის, კურსის ორიენტაციისა და შინაარსის მოცულობის გათვალისწინებით.

- უსდ-მ უზრუნველყოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის განახლება.
- ინგლისური ენის საწყისი დონის მოთხოვნა B2- მდე უნდა გაიზარდოს, რათა სტუდენტებს არ გაუჭირდეთ იმ პროგრამაზე სწავლა, რომელიც ეხება ტექნოლოგიების გამოყენებასა და ინტეგრაციას, ანალიტიკურ უნარებს და მონაცემთა ანალიზს ბიზნესსა და მენეჯმენტში.
- უსდ-მ სტატისტიკური და მონაცემთა ანალიზის მიდგომებთან დაკავშირებულ კურსებში უნდა შეიტანოს რეალური მონაცემთა ბაზები, სანდო მონაცემთა საცავებიდან, დემონსტრირებისა და პროექტზე დაფუძნებული აქტივობებისათვის.
- დაინერგოს ფიქსირებული საკონსულტაციო საათები ყველა პედაგიგისთვის (აკადემიური და მოწვეული), რაც საჯაროდ გამოცხადდება My UG და UG Online სისტემების მეშვეობით.
- უსდ-მ უზრუნველყოს სტუდენტებში გასაჩივრების პროცესის შესახებ ინფორმირებულობა.
- საბიბლიოთეკო მომსახურება აქტიურად უნდა იყოს ინფორმირებული იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც ბიბლიოთეკა სთავაზობს სტუდენტებს.
- უნივერსიტეტის შენობაში და კონკრეტულად ფაკულტეტზე გაიზარდოს კომპიუტერების რაოდენობა, რადგან შეთავაზებული პროგრამების რაოდენობა იზრდება.
- რეკომენდებულია დაინტერესებული მხარეების (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) ჩართულობის გაზრდა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში.
- რეკომენდებულია მომზადდეს ანგარიშები, რომლებიც ასახავს პასუხებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე.
- დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეკომენდაციები ქართულენოვანი ბიზნეს ანალიტიკის პროგრამასთან დაკავშირებით და გამოიყენოს ისინი ინგლისურენოვანი ბიზნეს ანალიტიკის პროგრამისთვის.
- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და ამავდროულად სიახლეს წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში, რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის ან/ და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლების მონაწილეობით.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულარულად გააანალიზოს სტუდენტების აკადემიური მოსწრება, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
  - უსდ მოერიდოს კონკრეტული პროგრამების პროდუქტების სახელების გამოყენებას კურსის სათაურებში (მაგ., არა MS Excel, არამედ ცხრილები, Office და არა MS Office და ა.შ., თუ ეს არ არის ღია პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა R, Python და ა.შ.).
  - დოკუმენტები ისეთი სტრუქტურით დალაგდეს ვებგვერდზე, რომ მაქსიმალურად მოსახერხებელი იყოს მომხმარებლისთვის და უცხოელ სტუდენტებს, რომლებიც ამ პროგრამის ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ, გაუმარტივოს წვდომა.ვებგვერდის შინაარსის გააზრებული ორგანიზებით, შესაძლებელია

უზრუნველყოთ უცხოელი სტუდენტების მიერ შეუფერხებლად და ძალისხმევის გარეშე მათთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება.

- შექმენით სტაჟირების შესაძლებლობები ისე, რომ რაც შეიძლება მეტმა სტუდენტმა ისარგებლოს ამ შესაძლებლობით, რაც დამატებით ღირებულებას მოუტანს სტუდენტებს და პროგრამას.
- შექმენით სტაჟირების იმგვარი შესაძლებლობები, რომ რაც შეიძლება მეტმა სტუდენტმა ისარგებლოს ამით, ეს დამატებით ღირებულებას მოუტანს სტუდენტებს და პროგრამას.
- შეიქმნას იმ დამსაქმებელთა ქსელი, ვინც პროგრამას შესთავაზებს მის შედეგებთან დაკავშირებული სტაჟირების პოზიციებს. გაითვალისწინეთ დამსაქმებლები სხვადასხვა სფეროებიდან. ბიზნეს ანალიტიკის ბაკალავრის დიპლომის მქონე პირს შეუძლია იმუშაოს ნებისმიერ სფეროში, როგორიცაა საცალო ვაჭრობა, წარმოება, მიწოდება ან მომსახურება. მომგებიანი იქნება, თუ პროგრამა მოიცავს წამყვანი სფეროების მოთხოვნებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.
- თუ პროგრამა ორიენტირებული იქნება საერთაშორისო სტუდენტებზე, შესაძლოა მომგებიანი იყოს ზოგიერთი საერთაშორისო დამსაქმებლის ჩართვა სტაჟირების პარტნიორობისთვის, ბიზნეს ანალიტიკის კონკრეტული სამუშაოს აღწერილობისთვის მისი მართვა შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში.
- უსდ-მ უზრუნველყოს მეტი მოქნილობა სტუდენტების შეფასებისას, განსაკუთრებით პრაქტიკული ორიენტაციის მქონე კურსზე, რათა სტუდენტებმა შესაბამისი უნარები კიდევ უფრო განავითრონ.
- მოწვეულ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგები აკადემიურ გარემოში გაცნობისა და შერწყმის, პროგრამის მიზნებისა და ამოცანების გააზრებისა და გაზიარებისთვის.
- უსდ-მ ხელი შეუწყოს და წაახალისოს სასწავლო პერსონალი განაახლონ და განავითარონ ინგლისური ენის ცოდნა, რადგან პროგრამა და ყველა კომუნიკაცია სტუდენტებთან იქნება ინგლისურ ენაზე.
- სასურველია პროგრამის შეფასება მოხდეს მონათესავე პროგრამის კურსდამთავრებულთა მიხედვით თანამედროვე დასაქმების ბაზრისთვის საჭირო კომპეტენციებისა და უნარების კვლევის კუთხით.
- სასურველია პროგრამამ გამოიყენოს განმავითარებელი ურთიერთშეფასება, რომელიც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ლექციებზე დასწრებას და უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
- სასურველია, დაწესებულებამ რეგულარულად განახორციელოს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით დადგენილი აქტივობები, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასება და შედეგების გამოყენება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივაციისა და განვითარების მიზნით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა ბიზნეს ანალიტიკაში არის მულტიდისციპლინარული პროგრამა, რომელიც ფოკუსირებულია ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროში წარმოქმნილ სიახლეზე; იგი იყენებს ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად შექმნილ შესაძლებლობებს მენეჯმენტში უფრო მეცნიერული მიდგომის გამოყენებისას, მონაცემთა ანალიტიკით გენერირებული ინფორმაციის, ცოდნისა და შეხედულებების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს ინოვაციურად, პასუხობს შრომის ბაზარს, რომელსაც სჭირდება საკმაოდ მდიდარი გამოცდილებითა და ბიზნესისა და მენეჯმენტის ფუნქციების ცოდნით აღჭურვილი კადრი, რომლებსაც შეუძლიათ შეაფასონ ანალიტიკის როლი ბიზნეს ფუნქციების მხარდაჭერაში და არიან ინფორმაციული ტექნოლოგიების აპლიკაციების კომპეტენტური მომხმარებლები, იყენებენ ანალიტიკურ მეთოდოლოგიებს და წყვეტენ ბიზნეს პრობლემებს. პროგრამის მიზანია მოამზადოს ღრმა ცოდნის მქონე კურსდამთავრებულები ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში, რომლებიც ასევე აღჭურვილი არიან თანამედროვე ანალიტიკური უნარებით, და შეძლებენ კარიერულ წინსვლას ქართულ და საერთაშორისო კომპანიებში. საერთო ჯამში, პროგრამა განისაზღვრება ცოდნისა და უნარების ოთხი მიმართულებით: ბიზნესი და მენეჯმენტი, რაოდენობრივი და მათემატიკური მეთოდები, ბიზნეს ანალიტიკა და ინფორმატიკა.

2023 წლის თებერვალ- მარტში, უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულმა შრომის ბაზრის კვლევამ, რომელიც მოიცავდა დამსაქმებლების წარმომადგენლებს (ბიზნეს საკონსულტაციო და პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიებში მენეჯერულ პოზიციებზე) შორის გამოკითხვას და დასაქმების ძირითად ვებსაიტებზე გამოცხადებული ვაკანსიების ანალიზმა მიუთითა ასეთი პროფესიონალების საჭიროებაზე, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ შერჩევაში არის გარკვეული სისტემური მიკერძოება პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების სექტორში მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამო. ბიზნეს ანალიტიკის ბაკალავრის დიპლომის მქონე პირს შეუძლია

იმუშაოს ნებისმიერ სფეროში, როგორიცაა საცალო ვაჭრობა, წარმოება, მიწოდება ან მომსახურება. მომგებიანი იქნება, თუ შრომის ბაზრის კვლევა და პროგრამა მოიცავდა არა მხოლოდ კონკრეტული, არამედ წამყვანი სფეროების მოთხოვნებს. ვინაიდან პროგრამა ასევე ორიენტირებულია საერთაშორისო სტუდენტებზე, შესაძლოა მომგებიანი იყოს სამიზნე ქვეყნებისთვის შრომის ბაზრის კვლევის შესახებ მონაცემების შეტანა და არა მხოლოდ ქართული ბაზრის დამსაქმებლებისა და საუკეთესო დასაქმების ქართული საიტების შესახებ. მაგალითად, საქართველოსა და ინდოეთის შრომის ბაზარი საკმაოდ განსხვავებულია, ამიტომ სტუდენტებისთვის სასარგებლო იქნებოდა იმის გაგება კონკრეტულად რა გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ გლობალურად.

დე ვრის (NL), მინესოტას (აშშ), სან დიეგოს (აშშ), და ბრედფორდის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტებში არსებული მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი გამოიყენეს მოცემული პროგრამის შესადარებლად საერთაშორისოდ შემოთავაზებულ მსგავს პროგრამებთან, რამაც დაადასტურა ამ პროგრამის საჭიროება, რომელიც პირველია საქართველოში.

პროგრამის მიზანია მოამზადოს ღრმა ცოდნის მქონე კურსდამთავრებულები ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში, რომლებიც ასევე აღჭურვილი არიან თანამედროვე ანალიტიკური უნარებით, და შეძლებენ კარიერულ წონსვლას ქართულ და საერთაშორისო კომპანიებში. ბიზნეს ანალიტიკის ტენდენცია გლობალურია და ის ფაქტი, რომ პროგრამა შემოთავაზებულია ინგლისურ ენაზე, მისცემს კურსდამთავრებულებს იმის უნარ- ჩვევებს, რომ დასაქმება მოძებნოს საერთაშორისო დონეზე.

წარმოადგენილი პროგრამა საქართველოში პირველი მსგავსი პროგრამაა. ვინაიდან ეს არ არის ჩვეულებრივი პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში, პროგრამის აღწერაში ნათლად უნდა იყოს ასახული, რა არის მისი მიზნები და რას აწვდის სტუდენტებს, მათ შორის დასაქმების პერსპექტივები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის აღწერა საკმაოდ ინფორმაციულია პროგრამის მიზნების თვალსაზრისით, დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებული გარკვეული გადაჭარბებული განცხადებები უნდა ამოვიღოთ [კერძოდ: *საინფორმაციო ტექნოლოგიების ანალიტიკოსი* (კურსდამთავრებულები არიან IT- ის ძლიერი მომხმარებლები, მაგრამ არ არიან საინფორმაციო ტექნოლოგიების ანალიტიკოსები), *ფინანსური ანალიტიკოსი* (რაც მოითხოვს სპეციფიკურ მომზადებას, რომელსაც საკმარისად არ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის მხოლოდ ერთი შესავალი კურსი და კიდევ ერთი კურსი ფინანსურ მართვაში). ვინაიდან ამგვარი პროგრამა გახლავთ პირველი საქართველოში, უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობისთვის, უმჯობესია დაინახოთ და შეისწავლოთ გლობალური ბაზრის მთლიანი სურათი და არა მხოლოდ მისი ნაწილი. მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე ფოკუსირება დიდ დეფიციტს შექმნის საერთაშორისო სტუდენტებისთვის, რომლებიც ამ პროგრამის სამიზნე ბაზარია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;

- შრომის ბაზრის ანალიზი;
- მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი საერთაშორისო მასშტაბით;
- გასაუბრებები ბიზნესისა და ადმინისტრაციის სკოლის ხელმძღვანელთან, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, და პროგრამის ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის აღწერა და მისი მიწოდება დაინტერესებულ მხარეებისთვის უნდა ასახავდეს პროგრამის მახასიათებლებს და მოერიდოს მომიჯნავე პროფესიულ სფეროებზე (მაგ. ფინანსური ანალიტიკოსი, სტატისტიკური ანალიტიკოსი და ა.შ.) მითითებას.
- გაფართოვდესშრომის ბაზრის კვლევა იმგვარად, რომ მოიცვას საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორი, ვინაიდან ბიზნეს ანალიტიკის კურსდამთავრებულს ნებისმიერ ინდუსტრიაში მუშაობის შესაძლებლობა აქვს.
- შრომის ბაზრის კვლევა და დასაქმების შეთავაზებების შესწავლა უნდა მოიცავდეს საერთაშორისო ბაზარს, რადგან პროგრამა საერთაშორისო სტუდენტებზეცაა ორიენტირებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავდა შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან, დარგის ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე და საერთაშორისო მასშტაბით მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზის შესწავლის გათვალისწინებით. პროგრამის შემუშავების ეტაპზე აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა სწავლის შედეგების განსაზღვრაში. მიღებული

სწავლის შედეგები ნათლად არის განსაზღვრული ცოდნა და გაცნობიერებაში (7 სწავლის შედეგი), უნარებში (9 სწავლის შედეგი) და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობაში (2 სწავლის შედეგი), რაც ხაზს უსვამს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების მიწოდებას. პროგრამის სწავლის შედეგები დიდწილად წარმოდგენილია ისე, რომ აღწერს სხვადასხვა სფეროდან/ საგნებიდან სტუდენტების განსხვავებულ მოლოდინებს. თუმცა, აშკარად ჩანს, რომ სწავლის შედეგების ერთობლიობაში შეიმჩნევა ერთიანობის ნაკლებობა, რომელიც ასახავს პროგრამას, როგორც მთლიანობას და არა სხვადასხვა ნაწილების ჯამს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მიეკუთვნება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს, სწავლის შედეგების უმეტესობა ეხება ტექნიკურ სფეროებს (თითქმის მთლიანად ცოდნა და გაცნობიერებაში, და ყველა მცირე გამონაკლისის გარდა უნარებში). პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ასახავს სავალდებულო კურსებს.

პროგრამის დონეზე, სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს ოთხი წლის განმავლობაში შეძენილი ცოდნისა და უნარების ყოვლისმომცველ მოლოდინს, რაც ხაზს უსვამს პროგრამის ტექნიკური მხარისა (ანალიტიკური/IT/ რაოდენობრივი მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები) და ბიზნეს მხარის (მმართველობის ძირითადი ფუნქციები და აქტივობები) შერწყმას, რათა გააცნოს პერსპექტიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, თუ რას აწვდის ეს პროგრამა მათ. ზოგიერთი ალტერნატიული ფორმულირება შეიძლება დაგეხმაროთ ზემოაღნიშნულის ახსნაში:

- *ბიზნეს გარემოსა და ძირითადი მენეჯმენტის ფუნქციის გაგება ბიზნესის წარმატებულად წარმართვაში.*
- *ბიზნეს პრობლემების გადაჭრისა და ბიზნეს სცენარების შეფასების სათანადო ანალიტიკური მეთოდოლოგიების განსაზღვრა.*
- *მონაცემთა ანალიზი, ალტერნატიული ქმედებების წარდგენა და კომუნიკაცია და ბიზნეს გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერა.*
- *ანალიტიკური მეთოდოლოგიების შერჩევა და გამოყენება ……*
- *სწორად შეარჩიეთ და დაასაბუთეთ მათემატიკური, სტატისტიკურ-ალბათობის აპარატი ბიზნეს პრობლემების გადაჭრისას*

და ა.შ.

ზოგიერთი სწავლის შედეგი ზედმეტად რთულია, მაგალითად *"ახდენს ორგანიზაციის რეალურ სამყაროში არსებული სირთულეების შესაბამისი ინტერესის სფეროების კონცეპტუალიზაციას და ურთიერთდაკავშირებას; დამოუკიდებლად განმარტავს მოდელირების ძირითად ტექნიკას და მეთოდებს",* რაც შეიძლებოდა ყოფილიყო 2 განსხვავებული სწავლის შედეგი ან გაერთიანებულიყო ისე, რომ გასაგები იყოს, რას ნიშნავს ამ სწავლის შედეგის მიღწევა.

ასევე, თავიდან უნდა იქნას აცილებული ის სწავლის შედეგები, რომლებიც სრულად არ ემთხვევა პროგრამის მიმდინარე შინაარსს (მაგ., *„აანალიზებს და სინთეზს უკეთებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას…"*) – პროგრამა მოიცავს მხოლოდ ერთ კურსს ბუღალტერიაში და მეორეს ფინანსურ მენეჯმენტში. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, როგორც წესი, არის ბუღალტერიისა და ფინანსების სწავლის შედეგი. ალტერნატიულად, ის შეიძლება ჩამოყალიბდეს ალტერნატიული გზით, რათა აჩვენოს, რომ სტუდენტებისგან მოელიან ფინანსური ანალიზისთვის გამოყენებული მონაცემების გაანალიზებას. ანალოგიურად, სწავლის შედეგი *„<u>დამოუკიდებლად</u> გეგმავს, ატარებს, აანალიზებს და აცნობებს კვლევას"* არის ის სწავლის შედეგი, რომელიც ახასიათებს სასწავლო პროგრამებს სამაგისტრო ან სადოქტორო დონეზე. ის შეიძლება შეიცვალოს და მოერგოს კვლევის უნარებს საბაკალავრო დონეზე (მაგ., მომხმარებლის გამოცდილების კვლევის

მეთოდები). სხვა კომპეტენციები, რომლებიც თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ვლინდება შრომის ბაზარზე, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარები, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი არ არის ნახსენები პროგრამის სწავლის შედეგებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი საერთაშორისო მასშტაბით;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან;

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები იმგვარად, რომ ასახავდეს სტუდენტების მოლოდინს ცოდნისა და უნარების შესახებ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, და ხაზი უნდა გაესვას პროგრამის ფილოსოფიასა და დასაბუთებას.
- პროგრამის სწავლის შედეგები ასევე უნდა მოიცავდეს ტრანსფერულ უნარებს, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი და ა.შ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილია მხოლოდ თვითშეფასების დოკუმენტში. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, კონკრეტული პერიოდულობით; პროგრამაში წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების თავსებადობის რუკა, პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა: კურსის სწავლის შედეგი(ებ)ის შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან, რომელიც გვიჩვენებს, რომელ დონეზე ვითარდება/ მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგი (შესავალი, გაღრმავება, დაუფლება); თუმცა, სასწავლო გეგმის რუკა უნდა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას გარკვეული პროგრამების შედეგების მიღწევის სწორი დონეები.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა; მექანიზმის გამოყენება და შეფასებების განხორციელება, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი (სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი) და ხდება სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი და შედარება სამიზნე ნიშნულებთან, თუმცა, არ არის განსაზღვრული რა ღონისძიებები უნდა გაატაროს პროგრამამ სამიზნე ნიშნულების ვერ მიღწევის შემთხვევაში, ამიტომ რეკომენდებულია სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა.

უნივერსიტეტი იყენებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას არაპირდაპირი მეთოდით, კერძოდ, შემუშავებულია კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა, რომლის მეშვეობითაც კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტში მოქმედებს კურსდამთავრებულთა ყოველწლიური გამოკითხვის მექანიზმი, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება პროგრამის შედეგების შესაბამისობა დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან. თუმცა, არ არის ნათელი და არც ერთი დოკუმენტი არ აღწერს როგორ მუშაობს ეს მექანიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლამ აქტიურად მიიღო მონაწილეობა სწავლების მეთოდებზე ორიენტირებულ ტრენინგებში, (მაგ. MOCAT), გამოკითხული აკადემიური/სამეცნიერო და პროგრამის მოწვეული პერსონალი, როგორც ჩანს, არ იცნობდა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს;

პროგრამის აკადემიური/ სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი არ იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; პროგრამის ხელმძღვანელებსაც კი არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. რეკომენდებულია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს მხარდაჭერა და გაიაროს ხშირი ტრენინგები სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად.

უნივერსიტეტი დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის აღწერა;

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- მიზნებისა და სწავლის შედეგების თავსებადობის რუკა;
- პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, მომიჯნავე პროგრამების დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- სასწავლო გეგმის რუკა უნდა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამების გარკვეული შედეგების მიღწევის (შესავალი, გაღრმავება, დაუფლება) სათანადო დონეები.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამამ შეადგინოს სათანადო და თანმიმდევრული დოკუმენტი, რომელიც განმარტავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, მათ შორის პირდაპირი შეფასების მეთოდებს შესაბამისი ინსტრუმენტებით, სასურველ მიზნებს, განსაზღვრავს მიზნიდან გადახრის შესაძლო ზღვარს, განსაზღვრავს რეაგირების მექანიზმებს სამიზნე ნიშნების ვერ მიღწევის შემთხვევაში; საჭიროების შემთხვევაში ჩამოაყალიბებს არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს მკაფიო და თანმიმდევრული მექანიზმით.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს მხარდაჭერა და გაიაროს ხშირი ტრენინგები სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად. ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☐	☒	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს ფორმალური დოკუმენტი *„საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფა“*, რომელიც აღწერს ახალი პროგრამისა და სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესს და ადგენს პროგრამის ადმინისტრირებისა და მისი განხორციელების წესებს. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის შემუშავება განხორციელდა დოკუმენტში აღწერილი პროცესების მიხედვით, რაც გადამოწმებული იქნა სკოლის დირექტორთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრების დროს. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოაღნიშნული გამოკითხული პირი კარგად იცნობდა პროცესებს.

პროგრამა ისწავლება 8 სემესტრის განმავლობაში და თითოეული მოიცავს 30 კრედიტს. სასწავლო გეგმის სავალდებულო ნაწილი მოიცავს 38 სასწავლო საგანს (152 ECTS) და პროექტსა და ნაშრომს ბიზნეს ანალიტიკაში (30 ECTS). არჩევითი საგნები მოიცავს 24 სასწავლო საგანს, მათ შორის 2 ქართულს, თითოეული 6 ECTS და სტაჟირებას ბიზნეს ანალიტიკაში (12 ECTS), სულ 168 კრედიტი, საიდანაც სტუდენტები ირჩევენ 58 ECTS- ს.

პირველ 6 სემესტრში სტუდენტები გადიან 5 საგანს სემესტრში (3 ან 4 სავალდებულო და 1 ან 2 არჩევითი) თითო 6 ECTS (სემესტრში 30 ECTS). მე-7 სემესტრში არის 2 სავალდებულო საგანი და სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ 1 არჩევითი საგანი და გაიარონ სტაჟირება (12 ECTS) ან გაიარონ 3 არჩევითი საგანი. და ბოლოს, მე-8 სემესტრის განმავლობაში სტუდენტები მუშაობენ პროექტსა და ნაშრომზე ბიზნეს ანალიტიკაში (30cECTS).

პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს პროგრამის მიზნებისა მიღწევას. სავალდებულო კურსები მოიცავს 4 ძირითად მიმართულებას: <u>ბიზნესი და მენეჯმენტი,</u> რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს ფუნდამენტური ცოდნა ბიზნეს გარემოს, ასევე ბიზნესის მართვის ძირითადი ფუნქციების შესახებ, <u>ბიზნეს ანალიტიკა,</u> რომელიც აცნობს სტუდენტებს ანალიტიკის ცნებებს და წარმოადგენს შედარებით მეთოდოლოგიებს, რომლებიც ემსახურება მართვის ფუნქციებს და მხარს უჭერს გადაწყვეტილების მიღებას, <u>ინფორმატიკა,</u> რომლის მიზანია ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების აპლიკაციებთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიწოდებას, და <u>მათემატიკური/რაოდენობრივი</u> მეთოდები, რომლებიც აუცილებელია სტუდენტებისთვის ეკონომიკური მოდელების და ოპტიმიზაციის ტექნიკის გაგებისა და ახსნისთვის. ამ 4 მიმართულებით ასევე შემოთავაზებულია არჩევითი კურსები, რათა სტუდენტებს შეეძლოთ აირჩიონ ის, რაც შეესაბამება მათ სამომავლო დასაქმებასა და განვითარებას. სასწავლო გეგმის სტრუქტურა ძალზე მკაფიოა, სასწავლო ერთეულების განვითარების დასაბუთებით, რომელთა უმეტესობა (გარდა 9 საგნისა - მათგან 4 პირველ სემესტრში) მოითხოვს მინიმუმ ერთ წინაპირობას.

პანელი დააფიქრა იმ ფაქტმა, რომ პროგრამის შინაარსი არ მიუთითებს იმაზე, რომ ეს პროგრამა ძირითადად ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროს განეკუთვნება, იგი ხაზს უსვამს იმ გავლენასა და

ღირებულებას, რასაც ტექნოლოგიური მიღწევები ახდენს მენეჯმენტის პრაქტიკაზე. მენეჯმენტის ისეთი ძირითადი ფუნქციები, როგორიცაა მარკეტინგი (რომელიც, სხვათა შორის, არის ანალიტიკის მაღალი კონცენტრაციის სფერო), ადამიანური რესურსების მართვა (ისევ მნიშვნელოვანი სფერო ანალიტიკაში), რისკების მართვა (ანალიტიკისთვის თანაბრად ნაყოფიერი ნიადაგი), საბუღალტრო საქმე, ბიზნეს სტრატეგია, ნაკლებად არის წარმოდგენილი ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია, რომ ეს საგნები იყოს სასწავლო გეგმის ბირთვში.

მეორეს მხრივ, არსებობს მიკერძოება (შესაძლოა კომპანიებში შრომის ბაზრის წარმომადგენლების შემადგენლობის გამო) იმ საგნებში, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია პროგრამული სისტემების შემუშავებასა და მართვასთან (მაგ., მართვის საინფორმაციო სისტემები (6 კვირიანი უსაფრთხოების საკითხები), ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისები და პროექტების მენეჯმენტი, ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები) და ბიზნეს ანალიტიკასთან. ასევე, MS Office და MS Visio კურსები მკაცრად არის დაფუძნებული უნარებზე და არ გვთავაზობს ან ძალიან მცირე მნიშვნელობას ანიჭებს ბიზნეს პერსპექტივას (სტუდენტებს შეუძლიათ გააუმჯობესონ თავიანთი უნარები თვითპრაქტიკით).

ვინაიდან პროგრამა დიდწილად ეფუძნება სხვა ფაკულტეტების/დეპარტმანეტების კურსებს, აუცილებელია, რომ ეს კურსები მორგებული იყოს ამ პროგრამის მიზნებზე. გასაუბრების დროს, როდესაც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ჰკითხეს, როგორ უმკლავდებიან ამ საკითხს, მათ უპასუხეს, რომ ისინი არეგულირებენ თავიანთ სწავლებას და კლასში მოჰყავთ ის მაგალითები და შემთხვევები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ეს არ ჩანს სილაბუსებში. აღმოჩენილი პრობლემები მოიცავს: INFO3212- ს აქვს წინაპირობა STAT2218, რომელიც არ არის ამ პროგრამის სასწავლო ნაწილი, ხოლო INFO3015- ის წინაპირობა არის INFO3030, რომელიც არჩევითი კურსს წარმოადგენს. სხვა სასწავლო ერთეულები, როგორიცაა MATH3030, ორიენტირებულია უმაღლეს მათემატიკაზე, რომელიც ძირითადად შეუსაბამოა ბიზნესისთვის. ვებტექნოლოგიების INFO3030 საფუძვლები ეხება ვებგვერდების შემუშავებას, ხოლო Google Analytics, ბიზნეს ანალიტიკის მნიშვნელოვანი სფერო, არ არის განხილული. ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის გავლენა მკვეთრად გაიზრდება უახლოეს მომავალში, პროგრამაში ერთადერთი მითითება არის კურსი INFO3040 ხელოვნური ინტელექტი, რომელიც სპეციალიზებულია სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება AI სისტემების და პროდუქტების დეველოპერებს და არა მათ გამოყენებას ბიზნეს ტრანსფორმაციებსა და მენეჯმენტში.

საქართველოს უნივერსიტეტში „საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფა“ ითვალისწინებს „მიმართულების ხელმძღვანელის“ პოზიციებს, რაც შესაფერისია და შეიძლება მომგებიანი იყოს იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება პროგრამის საბჭო, სადაც პროგრამის ხელმძღვანელები და მიმართულებების ხელმძღვანელები გაზრდიან ინტეგრაციის პროცესს პროგრამის ოთხი კომპონენტისთვის (ბიზნესი/ მენეჯმენტი, ბიზნეს ანალიტიკა, ინფორმატიკა, მათემატიკური/ რაოდენობრივი მეთოდები). მისი მიზანი იქნება პედაგოგიური პერსონალის მიერ წაკითხული კურსის შინაარსისა და სასწავლო აქტივობების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა იმისთვის, რომ ტექნიკური უნარები და ასპექტები შეერწყას და გაერთიანდეს მენეჯმენტის ფუნქციებთან. ტიპიური მაგალითებია შემდეგი კურსები: INFO3212 გადაწყვეტილების მოდელირება Excel- ში, BUAN2030 ფინანსური და მენეჯერული ბუღალტერია,

MATH3010- 3020 რაოდენობრივი მეთოდები ბიზნეს ანალიტიკაში I- II: მენეჯერული აღრიცხვის პრობლემების ასახვა შესაძლებელია ცხრილებში, რომლებიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს „ითამაშონ“ „what- if'' თამაშები და შეიმუშაონ ბიზნეს სცენარები, რომელთა სიმულაციაც შესაძლებელია ცხრილის ფარგლებში მოსალოდნელი შედეგ(ებ)ის სტატისტიკური განაწილების შესაქმნელად. ასევე, რაოდენობრივ მეთოდებში წარმოდგენილი ოპტიმიზაციის პრობლემები (სწორხაზოვანი და არასწორხაზოვანი) შეიძლება გადაწყდეს ცხრილების ამომხსნელი მექანიზმის გამოყენებით. საერთო იდეა არ არის თითოეული საგნის ცალ- ცალკე დანახვა, არამედ ის, თუ როგორ ერწყმის საგნები ერთმანეთს დამატებითი ღირებულების შესაქმნელად.

პროგრამის ორი კომპონენტი, სტაჟირება ბიზნეს ანალიტიკაში და პროექტი და ნაშრომი ბიზნეს ანალიტიკაში, მე-7 და მე-8 სემესტრში არის შემოთავაზებული, როგორც პროგრამის მთავარი კომპონენტი.

სტაჟირება სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას განავითარონ და გაიუმჯობესონ პრაქტიკული უნარები და გამოცადონ თავიანთი ცოდნა პრაქტიკაში. სილაბუსისა და პროგრამის ერთ- ერთ ხელმძღვანელთან გასაუბრების მიხედვით, სტაჟირება ჩატარდება იმ კომპანიებსა და ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობა მოიცავს ბიზნეს ანალიტიკას; სტაჟირების ხანგრძლივობაა 14 კვირა. სტაჟირების საქმიანობა კარგად არის დაგეგმილი, სტრუქტურირებული და მას მონიტორინგს / ხელმძღვანელობას უწევს დეპარტამენტის ხელმძღვანელი. პროცესს აკონტროლებს შეთავაზებული პოზიციის განხილვის შესაბამისი დოკუმენტები, შუალედური მონიტორინგის ანგარიში და საბოლოო შეფასების ანგარიში. სტუდენტის მუშაობას აფასებენ მენტორი (დამსაქმებელი) და პროგრამის ხელმძღვანელი. პანელი მიესალმება პროგრამაში სტაჟირების არსებობას და თვლის, რომ ყველა სტუდენტისთვის მომგებიანი იქნება ასეთი გამოცდილება, თუმცა ეს შესაძლოა რთული იყოს ტექნიკურად ვინაიდან პროგრამაში საერთაშორსო სტუდენტები არიან ჩართულნი. პროგრამის ხელმძღვანელობამ, ფაკულტეტისა და კარიერული განვითარების სერვისების დახმარებით უნდა შექმნას ბიზნეს ანალიტიკის სტუდენტებისთვის დამსაქმებლების მიერ შეთავაზებული სტაჟირების პოზიციების რეესტრი. სტუდენტებისთვის ღირებული იქნება, თუ დაწესებულება მოიწვევს დამსაქმებლებს, რომლებიც გააკეთებენ პრეზენტაციას თავიანთ კომპანიებსა და ორგანიზაციებში ბიზნეს ანალიტიკური მიდგომების გამოყენების შესახებ, რაც გაზრდის სტუდენტების ინტერესს სტაჟირების მიმართ.

საბაკალავრო პროექტი და ნაშრომი სამეტაპიანი პროცესია: ა) პროექტის კონცეფცია (მე-4 კვირა, 2000 სიტყვა): კვლევის წინასწარი მონახაზი, რომლის შეფასება ხდება შემდეგი თვალსაზრისით: საკვლევი თემის აქტუალობა, მნიშვნელობა, მიზანშეწონილობა შეძენილი ცოდნის, კვლევის ჩატარების შესაძლებლობების მხრივ, ლიტერატურის შერჩევა, კვლევის მეთოდოლოგია. ბ) წინასწარი განაცხადი (მე-10 კვირა, 5000 სიტყვა), რომელიც მოიცავს: საკითხის მოკლე მიმოხილვას, პრობლემის იდენტიფიცირებას, მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, არსებული ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის მეთოდოლოგიას, ლიტერატურას, პროექტის შემოთავაზებულ სტრუქტურას. გ) საბოლოო შეფასება (მე-18 კვირა, 11000 სიტყვა, რასაც დაემატება 1000 სიტყვა თითო მონაწილეზე, თუ ეს არის ჯგუფური მუშაობა).

პროცესი დეტალურად არის განსაზღვრული უნივერსიტეტის *„ბაკალავრიატის დებულების“* დოკუმენტში, სადაც ნათლად არის აღწერილი მოთხოვნები, მეთოდოლოგია და შეფასების

კრიტერიუმები. პროექტს და ნაშრომს აკონტროლებს ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი, რომელიც ატარებს ყოველკვირეულ შეხვედრებს, რათა დაეხმაროს სტუდენტებს ნაშრომის მომზადებაში. სტუდენტები ვალდებულნი არიან დაესწრონ მათი ხელმძღვანელის მიერ დაგეგმილი ყოველკვირეული შეხვედრებიდან მინიმუმ 10- ს, რომლებიც ტარდება უნივერსიტეტში.

ბიზნეს ანალიტიკის პროგრამის სტუდენტებს აქვთ მიღებული კვლევის მეთოდოლოგიის გარკვეული გამოცდილება ადრეულ ეტაპზე (მე-2 კურსი BUAN1020-მომხმარებლის გამოცდილება). მიუხედავად იმისა, რომ მეთოდოლოგია და შეფასების კრიტერიუმები ნათელია, პანელმა შენიშნა, რომ პროგრამაში არ არის წინარე კურსი აკადემიურ წერაში, რაც ნამდვილად გაართულებს ამ ამოცანას სტუდენტებისთვის, რადგან მათ წინა ეტაპებზე არ გაუვლიათ თემის შერჩევისა და აკადემიური ნაშრომის შედგენის გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სილაბუსები;
- ბაკალავრიატის რეგულაციები;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის შინაარსი იმ კომპონენტების დამატების მიმართულებით, რომლებიც აძლიერებს მის ბიზნეს/ მენეჯმენტის პროფილს და თავსებადია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ისეთი საგნები, როგორიცაა მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა, რისკების მართვა, ბუღალტერია, ბიზნეს სტრატეგია არა მხოლოდ ძირითადი კომპონენტებია ბიზნესის ადმინისტრირებაში, არამედ მნიშვნელოვანია ბიზნეს ანალიტიკის აპლიკაციებისთვის.
- შეიქმნას პროგრამის საბჭო, რომელშიც შევლენ პროგრამის ხელმძღვანელები და ოთხი კომპონენტის ხელმძღვანელები (ბიზნესი/ მენეჯმენტი, ინფორმატიკა, ბიზნეს ანალიტიკა, მათემატიკა/ რაოდენობრივი მეთოდები), რომლებიც გადახედავენ კურსებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში/ ბიზნესის ანალიტიკაში/ რაოდენობრივ მეთოდებსა და მათემატიკაში და მოარგებენ მათ შინაარსს ბიზნესის/ მენეჯმენტის მიმართულებას.
- ამაღლდეს სხვადასხვა სფეროს კურსებს შორის სინერგიის დონე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უსდ მოერიდოს კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამების პროდუქტების სახელების გამოყენებას კურსის სათაურებში (მაგ., არა MS Excel, არამედ

ცხრილები, Office და არა MS Office და ა.შ., თუ ეს არ არის ღია პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა R, Python და ა.შ.).

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თითოეული კურსისთვის (სავალდებულო თუ არჩევითი) არის კარგად სტრუქტურირებული სილაბუსი, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო დეტალს როგორც პედაგოგისთვის, ისე სტუდენტებისთვის. კერძოდ: კურსების წინაპირობები, მოკლე აღწერა და მიზნები, კურსის სწავლის შედეგები დაყოფილია ცოდნა და გაცნობიერებად, და უნარებად, სტუდენტის დატვირთვის ანალიზი საკონტაქტო საათებში, გამოცდა, საკურსოს მომზადება და პრეზენტაცია, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, ყოველკვირეული ლექციების განრიგი (თემა, საკითხავი მასალა), ქვიზები, შეფასების სქემა და რუბრიკები სხვადასხვა ტიპის შეფასებისთვის. ყველა სილაბუსი ერთი და იგივე ფორმატით არის შედგენილი, რაც უადვილებს სტუდენტებს საჭირო ინფორმაციის მიღებას; მათ შორის განსხვავება მხოლოდ სწავლის შედეგების აღწერაშია, რაც ნაწილობრივ განპირობებულია საგნებს შორის განსხვავებებით (თეორიული და პრაქტიკული), მაგრამ ასევე ვლინდება გამოცდილების ან ტრენინგის ნაკლებობის ნიშნები სასწავლო კურსის სწავლის შედეგების დაწერაში. ზოგიერთ შემთხვევაში სწავლის შედეგები ზედმეტად დეტალურია, ისე, რომ ზოგჯერ ჰგავს კონკრეტული განვლილი თემების შედეგებს (BUAN2030), სხვა შემთხვევაში საწინააღმდეგო უკიდურესობას ვაწყდებით, ანუ შედეგები არ ასახავს მთლიან შინაარსს (BUAN2010). იმის გამო, რომ ეს არის ტრენინგის ნაკლებობის ნიშანი, სკოლამ და პროგრამის ხელმძღვანელებმა, ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, უნდა უზრუნველყონ პედაგოგთა გადამზადება კურსის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და დაწერაში, რომლის მიღწევაც შეიძლება შემოწმდეს კურსის შეფასების მეთოდებით.

პროგრამის ყველა აკადემიურ კურსს (სავალდებულო და არჩევითს) ენიჭება 6 ECTS, რაც შეესაბამება სტუდენტის დატვირთვის 150 საათს, საკონტაქტო საათების ჩათვლით. სემესტრში არის 12 სასწავლო კვირა და კურსების უმრავლესობისთვის არის კვირაში 2 საკონტაქტო საათი, რომელიც მოიცავს ლექციებს, სემინარებს, დისკუსიას ან ნებისმიერ სხვა საკლასო აქტივობას. პანელის აზრით, კვირაში 2 საკონტაქტო საათი 6 ECTS კრედიტიანი საბაკალავრო დონის კურსისთვის არ არის საკმარისი თემების სრულყოფილი პრეზენტაციისთვის, სემინარების ჩატარებისთვის და დემონსტრაციებისთვის, დისკუსიისთვის, კრიტიკული ანალიზისთვის და სწავლებისა და სწავლის სხვა მიდგომებისთვის, რომლებიც მოცემულია სასწავლო გეგმაში, განსაკუთრებით იმ საგნებში, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი თეორიული საფუძველი ან ეფუძნება კონკრეტულ მეთოდოლოგიას. მეორე მხრივ, კურსების უმეტესობაში სილაბუსი ძალიან დატვირთულია 6 ECTS- ის დასაბუთებისთვის. კერძოდ, ფინანსური და მენეჯერული ბუღალტერიის კურსში არის 19 სწავლის შედეგი, სემესტრის განმავლობაში წარმოდგენილია 12 სხვადასხვა თემა, 3 ძირითად სახელმძღვანელოზე დაყრდნობით და ლექციებისა და სემინარებისთვის განკუთვნილია 24 საათი, 30 საათი საკურსო ნაშრომების მომზადებისთვის და გამოცდებისთვის და 96 საათი დამოუკიდებელი მუშაობისთვის. თემები შეესაბამება 412 გვერდს ერთი სახელმძღვანელოდან და 574 გვერდს მეორე წიგნიდან, ასევე ზოგიერთი შემთხვევა მესამე სახელმძღვანელოდანაა. რა თქმა უნდა, საეჭვოა მთელი ამ მოცულობის ასალის ეფექტურად სწავლება თორმეტ 2- საათიან კვირაში. იგივე სიტუაციაა სხვა კურსებთან, როგორიცაა ოპერაციების მენეჯმენტი, მონაცემთა სტრუქტურა და ანალიზი და ა.შ., რომლებიც ეხება სიტუაციების მართვას კონკრეტული მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დაცვით. საკითხი განიხილეს აკადემიურ პერსონალთან, რომელიც დაჟინებით ამტკიცებდა, რომ 2-საათიანი მუშაობა საკმარისი დროა მასალის წარმოსაჩენად და იმისთვის, რომ სტუდენტებმა დამოუკიდებლად ისწავლონ. ამ დროისთვის (პროგრამა დაგეგმილია, მაგრამ ჯერ არ ფუნქციონირებს), ძნელია იმის შემოწმება, მიეწოდება თუ არა შინაარსი ეფექტურად და დაკმაყოფილებულია თუ არა კურსების სწავლის შედეგები, რადგან არ არსებობს ინფორმაცია კონკრეტული შეფასებებისა და სტუდენტების მოსწრების შესახებ. მიუხედავად ამისა, ეს არის საკითხი, რომელიც ასევე დაკავშირებულია პედაგოგიური პერსონალის დატვირთვასთან და ფინანსურ საკითხებთან; უნდა მოხდეს მისი მონიტორინგი და გადახედვა პროგრამის ხარისხთან ერთად, როდესაც პროგრამა ამუშავდება.

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ასახავს სავალდებულო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების ბმას, რაც სასარგებლო ინსტრუმენტია იმ სწავლის შედეგების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც ნაკლებად მიიღწევა. მაგალითად, პროგრამის 18 სწავლის შედეგიდან 11 მიიღწევა 3- ზე მეტი კურსით, ხოლო 3 სწავლის შედეგი *[ახდენს ორგანიზაციის რეალურ სამყაროში არსებულ სირთულეებთან შესაბამის ინტერესთა სფეროების კონცეპტუალიზაციას და ურთიერთდაკავშირებას; დამოუკიდებლად ხსნის მოდელირების ძირითად ხერხებსა და მეთოდებს (იხილეთ აღწერა 1.1- ში); ახდენს ანალიტიკური მოდელების ინტერპრეტაციას და ეფექტურად იყენებს მათ, მიმართავს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების*

ანალიზსა და სინთეზირებას და გარდაქმნის შედეგებს ღირებულ ინფორმაციად] საჭიროებს განხილვას.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები დიდწილად არის ცნობილი გამომცემლების უახლესი ვერსიები და უზრუნველყოფს თითოეული კურსის სწავლის შედეგების მიღწევას.

მთლიანობაში, კურსების შინაარსი და მათი სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ექვემდებარება პანელის წინა შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად წიგნებია; პედაგოგებმა და სტუდენტებმა (სხვა ბიზნეს პროგრამებიდან) წარმოადგინეს გარკვეული მტკიცებულება, რომ დამატებითი მასალა ხელმისაწვდომია myUG პლატფორმაზე. ლიტერატურის უმეტესობა ბოლო ათწლეულშია გამოქვეყნებული. ზოგიერთ შემთხვევაში, ლიტერატურა უფრო ძველია [მაგ., INFO3212- გადაწყვეტილების მოდელირება MS Excel 2004- ში), BUAN1015- ბიზნეს მოდელირების საფუძვლები (2008), MGMT2110- მართვის საფუძვლები (2010), MATH3110- რაოდენობრივი მეთოდები ბიზნეს ანალიტიკაში 1 და 3 (2010)] და ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი/ არ არის ჩამოთვლილი (მაგ. რაოდენობრივი მეთოდები ბიზნეს ანალიტიკაში 2, ბიზნესის მოთხოვნების ანალიზი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სილაბუსები;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- ჩატარდეს ტრენინგი პედაგოგებისთვის სწავლისა და შეფასების პროცესში სწავლის შედეგების მნიშვნელობასთან, წერასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.
- გაიზარდოს პროგრამის კურსების საკონტაქტო საათები კრედიტების რაოდენობის, კურსის ორიენტაციისა და შინაარსის მოცულობის გათვალისწინებით.
- უსდ-მ უზრუნველყოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის განახლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის საგანმანათლებლო გეგმაში. წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს მხოლოდ საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირების მიღებას. დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების გათვალისწინებით ან, გამონაკლის შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. ეს პროცესი შემდგომში რეგულირდება საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო განათლების დებულების დანართით N6, ადმინისტრაციული დებულებებით და უნივერსიტეტის რექტორის მიერ დადგენილი ბრძანებით. მაღალი დონის სტუდენტების მოზიდვისა და

ჩარიცხვის მიზნით, უნივერსიტეტი იმ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც პირველ არჩევნად ბიზნეს ანალიტიკის პროგრამას ირჩევენ, სთავაზობს სწავლის სრულ სტიპენდიას.

პროგრამაზე მიღების პროცედურები ხასიათდება სამართლიანობით, გამჭვირვალობით და ხელმისაწვდომობით. ეს პროცედურები ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ბაკალავრიატის დებულებით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპების ფარგლებში. უფრო მეტიც, პროცედურები ექვემდებარება ყველა მოქმედ კანონმდებლობას და აკმაყოფილებს ხარისხის სტანდარტების მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს მიღების პროცესის მთლიანობას.

გასაუბრებების დროს პანელს აცნობეს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ქართველი სტუდენტებისთვის პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე ბიზნესისა და ეკონომიკის სხვა პროგრამებზე, მაგრამ არ იყო ნათელი, თუ როგორ შემოწმდება საერთაშორისო სტუდენტების შესაბამისი სასკოლო დონე. ინგლისური ენის დონის მოთხოვნა არის B1; ასევე დადგენილია საერთაშორისო სერთიფიკატების შესაბამისი დონეები. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ძალიან მოთხოვნადია, რადგან მისი დიდი ნაწილი ეფუძნება კომპლექსური ბიზნეს გარემოს რეალური შემთხვევის ანალიზს, ბიზნესის წინაშე არსებულ პრობლემებსა და შესაძლებლობებს, ანალიტიკის გამოყენებას და რომ ის მთლიანად ისწავლება ინგლისურ ენაზე, სწავლებისა და სასწავლო მასალების ჩათვლით, პანელი თვლის, რომ ინგლისური ენის ფლობის B1 დონე არ იქნება საკმარისი, როგორც ეს აღწერილია ენების საერთო ევროპულ ჩარჩოში (ჩამოთვლილია მტკიცებულებებში).

უნივერსიტეტი იყენებს მეთოდოლოგიას, რათა ეფექტურად დაგეგმოს პროგრამაზე მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა. ეს მეთოდოლოგია შემუშავებულია პროგრამის სპეციფიკის, დაწესებულებაში არსებული რესურსების და შეუფერხებელი საგანმანათლებლო პროცესის შენარჩუნების აუცილებლობის გათვალისწინებით. შესაბამისად, პროგრამაზე სტუდენტების მიღება ზედმიწევნით ხორციელდება სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინფორმაცია ვებგვერდზე (https://ug.edu.ge/storage/documentations/April2021/6hdAv5XlknmyIDfWkvsD.pdf)
- გასაუბრებები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- პროგრამების აღწერილობები და სილაბუსები;
- პროგრამაზე დაშვებული სტუდენტების რაოდენობის ეფექტურად დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- Global scale - Table 1 (CEFR 3.3):საერთო საცნობარო დონეები - ენების საერთო ევროპული ჩარჩო (CEFR) - www.coe.int

<u>რეკომენდაციები:</u>

- ინგლისური ენის საწყისი დონის მოთხოვნა B2- მდე უნდა გაიზარდოს, რათა სტუდენტებს არ გაუჭირდეთ იმ პროგრამაზე სწავლა, რომელიც ეხება ტექნოლოგიების გამოყენებასა და ინტეგრაციას, ანალიტიკურ უნარებს და მონაცემთა ანალიზს ბიზნესსა და მენეჯმენტში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- დოკუმენტები ისეთი სტრუქტურით დალაგდეს ვებგვერდზე, რომ მაქსიმალურად მოსახერხებელი იყოს მომხმარებლისთვის და უცხოელ სტუდენტებს, რომლებიც ამ პროგრამის ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ, გაუმარტივოს წვდომა.ვებგვერდის შინაარსის გააზრებული ორგანიზებით, შესაძლებელია უზრუნველყოთ უცხოელი სტუდენტების მიერ შეუფერხებლად და ძალისხმევის გარეშე მათთვის საჭირო ინფორმაციისმოპოვება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი სთავაზობს პროგრამებსა და ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია სტუდენტების კვლევისა და პრაქტიკული უნარების ამაღლებაზე. ესენია:

თანამშრომლობა ქართულ ბიზნეს ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან: უნივერსიტეტმა დაამყარა არაერთი პარტნიორობა ამ სუბიექტებთან, ერთობლივი კვლევითი პროექტების ხელშეწყობის მიზნით. ეს პარტნიორობა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს იმუშაონ რეალურ პროექტებზე, მიიღონ ღირებული გამოცდილება და დაუკავშირდნენ პროფესიონალებს თავიანთ სფეროში. მაგალითად, საქართველოს უნივერსიტეტმა თანამშრომლობდა ლიბერთი ბანკთან სტუდენტური სტაჟირების პროგრამის შესაქმნელად. ამ პროგრამის საშუალებით ერთ-ერთ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს იმუშაოს რეალურ პროექტებზე, როგორიცაა ამ სფეროში პრაქტიკული ცოდნის მიღება. ეს გამოცდილება დაეხმარა

მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს კვლევისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში, და, ასევე, შესაძლებლობა მისცა მათ, რომ დაკავშირებოდნენ პროფესიონალებს ბიზნესის ანალიტიკურ სფეროში.

სემინარები: საქართველოს უნივერსიტეტი რეგულარულად მასპინძლობს სემინარებს, რომლითაც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ უახლეს კვლევებს თავიანთ სფეროში. ამ სემინარებს უძღვებიან გამორჩეული მეცნიერები და დარგის ექსპერტები, რომლებიც სტუდენტებს ამხნევებენ, რომ ჩაერთონ კრიტიკულ აზროვნებასა და დებატებში. მასტერკლასებზე პერიოდულად მოწვეულნი არიან უცხოელი ლექტორები და ბიზნეს ლიდერები.

სტარტაპ ფექთორი (The Startup Factory): სტარტაპ ფექთორი არის ინიციატივა, რომელიც შექმნილია სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და სამეწარმეო ცოდნის განსავითარებლად. Startup Factory სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს დახვეწონ და განავითარონ ინოვაციური ბიზნეს იდეები, სტარტაპ ფექთორის ფონდიდან დაფინანსების უზრუნველყოფის შესაძლებლობით. მაგალითად, გასულ წელს, ერთმა წარმატებულმა სტუდენტმა უკვე მიიღო ბილეთი Silicon Valley-ის რეალური ინვესტორების შეხვედრებზე. სწავლის ეს ემპირიული მიდგომა სტუდენტებს უვითარებს ღირებულ პრაქტიკულ შეხედულებებსა და უნარებს.

სტაჟირება: საქართველოს უნივერსიტეტი თანამშრომლობს უამრავ ქართულ კომპანიასთან, რათა სტუდენტებს სტაჟირების შესაძლებლობა მისცეს. სტაჟირება არის არჩევითი საგანი, რომელიც სტუდენტებს სძენს პრაქტიკულ გამოცდილებას თავიანთ სფეროში; მათ შეუძლიათ დაეხმარონ სტუდენტებს კვლევისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში.

მომხმარებლის გამოცდილება (UX) არის მე-2 კურსის სავალდებულო საგანი, რომელიც სტუდენტებს აცნობს კვლევის საფუძვლებს (უხსნის კვლევის მიზნებსა და კვლევის თემებს, აღწერს კვლევის მიზნებისთვის შესაბამის მეთოდოლოგიას, ახასიათებს კვლევისთვის რესპონდენტების შერჩევის კრიტერიუმებს, განმარტავს ინტერვიუს/ფოკუს ჯგუფების სახელმძღვანელო პრინციპებს).

საბაკალავრო პროექტი და ნაშრომი ბიზნეს ანალიტიკაში: საბაკალავრო პროექტი ბიზნეს ანალიტიკაში არის მთავარი პროექტი, რომლითაც სტუდენტებს მოეთხოვებათ ჩაატარონ ორიგინალური კვლევა თავიანთ სფეროში. მოცემული პროექტი სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს განივითარონ კვლევის უნარები, მათ შორის ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და დამუშავება. ეს ყოვლისმომცველი პროექტი სტუდენტებს უნიკალურ შესაძლებლობებს აძლევს, რომ განივითარონ გუნდური მუშაობის უნარები და გაუმჯობესონ თავიანთი კვლევითი უნარები, რომლებიც მოიცავს ინფორმაციის მოძიებას, ანალიზს და დამუშავებას და პრაქტიკულად განახორციელონ კვლევითი სამუშაოები. უფრო მეტიც, სტუდენტები სწავლობენ სრულყოფილად გაანალიზონ კვლევის შედეგები და ჩამოაყალიბონ სწორი დასკვნები. პროგრამა ასევე ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას კვლევით საკითხებში, რომლებიც შესაბამისობაშია საქართველოს უნივერსიტეტის საპატიო აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებულ მიმდინარე სამეცნიერო კვლევებთან.

სტუდენტური კონფერენციები: საქართველოს უნივერსიტეტი ყოველწლიურად მასპინძლობს სტუდენტურ კონფერენციებს. ეს კონფერენციები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს თავიანთი კვლევის შედეგები ფართო აუდიტორიას წარუდგინონ. მონაწილეობის მისაღებად

სტუდენტებს შეუძლიათ მოამზადონ მოკლე ნაშრომები, როგორც ინდივიდუალური სასწავლო კურსების ნაწილი ან წარადგინონ საბაკალავრო ნაშრომები განსახილველად. თითოეული სასწავლო კურსი აერთიანებს კვლევითი უნარების ჩამოსაყალიბებელ კომპონენტს, ხშირად რეზიუმეს სახით, რაც შემდგომში სტუდენტებს საჭირო კვლევით კომპეტენციებს უვითარებს. ზემოაღნიშნულ კონტექსტში შემუშავებული ნაშრომები სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ როგორც საკონფერენციო პრეზენტაციები. მაგალითად, საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტმა ახლახან სტუდენტურ კონფერენციაზე წარადგინა თავისი კვლევის შედეგები. სტუდენტმა შეძლო გაეზიარებინა თავისი კვლევა ფართო აუდიტორიისთვის და ასევე მიიღო გამოხმაურება სხვა სტუდენტებისა და პროფესორებისგან. კონფერენციის გამოცდილება დაეხმარა სტუდენტს გაეუმჯობესებინა კვლევის უნარები და ასევე მისცა მას შესაძლებლობა დაუკავშირდეს სხვა სტუდენტებსა და პროფესიონალებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს ანალიტიკის პროგრამა სტუდენტებს აძლევს პრაქტიკულ უნარებს, როგორიცაა მწარმოებლური და/ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო უნარები, მათი განვითარების/სამეცნიერო/კვლევითი პროექტების მეშვეობით, რეალურ–ცხოვრებისეული პრაქტიკა, როგორც სტაჟირებაა, ბიზნეს ანალიტიკაში არჩევითი საგანია. არსებობს რისკი იმისა, რომ ნებისმიერი სტუდენტი, რომელიც არ აირჩევს პრაქტიკას, ხელიდან გაუშვებს ასეთ დიდ შესაძლებლობას, რომ შეამოწმოს თავისი უნარები და ცოდნა სამუშაო პროცესში. პრაქტიკის პერიოდში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს მის საქმიანობას. დამსაქმებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ ისინი ითვალისწინებენ სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანს, შედეგს და ხანგრძლივობას.

ამრიგად, თუ სტუდენტები გამოიჩენენ მეტ ინიციატივას პრაქტიკული უნარებისა და ცოდნის მისაღებად, ეს პროგრამები და ინიციატივები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს განივითარონ კვლევისა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მათ არჩეულ სფეროში წარმატების მისაღწევად სჭირდებათ.

მონაწილეობა აკადემიური პერსონალის კვლევით პროექტებში: აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას, ზოგიერთმა გამოკითხულმა სურვილი გამოთქვა, რომ ბიზნეს ანალიტიკის სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ იმუშაონ მათ პროექტებში მონაცემთა შეგროვებასა და მონაცემთა მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში, რადგან მათ ექნებათ ასეთი კომპეტენციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მემორანდუმები;
- გასაუბრება სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან;
- ადმინისტრაციული სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება;
- პროგრამა და სილაბუსები;
- ანგარიში საქართველოს უნივერსიტეტის სტარტაპ-ფექთორის საქმიანობის შესახებ;
- გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შექმენით სტაჟირების იმგვარი შესაძლებლობები, რომ რაც შეიძლება მეტმა სტუდენტმა ისარგებლოს ამით, ეს დამატებით ღირებულებას მოუტანს სტუდენტებსა და პროგრამას.
- შეიქმნას იმ დამსაქმებელთა ქსელი, ვინც პროგრამას შესთავაზებს მის შედეგებთან დაკავშირებული სტაჟირების პოზიციებს. გაითვალისწინეთ დამსაქმებლები სხვადასხვა სფეროებიდან. ბიზნეს ანალიტიკის ბაკალავრის დიპლომის მქონე პირს შეუძლია იმუშაოს ნებისმიერ სფეროში, როგორიცაა საცალო ვაჭრობა, წარმოება, მიწოდება ან მომსახურება. მომგებიანი იქნება, თუ პროგრამა მოიცავს წამყვანი სფეროების მოთხოვნებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.
- თუ პროგრამა ორიენტირებული იქნება საერთაშორისო სტუდენტებზე, შესაძლოა მომგებიანი იყოს ზოგიერთი საერთაშორისო დამსაქმებლის ჩართვა სტაჟირების პარტნიორობისთვის, ბიზნეს ანალიტიკის კონკრეტული სამუშაოს აღწერილობისთვის მისი მართვა შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

ლექცია-სემინარის მეთოდი: ეს მეთოდი მოიცავს აუდიტორიისთვის მომზადებული და ინფორმაციული სიტყვის წარდგენას, კურსის ძირითადი შინაარსის გარკვევას და

ინტერპრეტაციას. იგი მოიცავს მასალის გამეორების ელემენტებს.

ახსნის მეთოდი: ამ მეთოდის საშუალებით ლექტორი განმარტავს კონკრეტული თემის გადამწყვეტ ასპექტებს, სტუდენტებისთვის გასაგებს ხდის საგანს კითხვარების გამოყენებით, მაგალითების მოყვანითა და ახსნა-განმარტებებით. ეს მეთოდი სტუდენტებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად დაამუშაონ მასალა ლექტორის ხელმძღვანელობით.

დემონსტრაციის მეთოდი: ლექციების დროს გამოიყენება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები, აუდიოვიზუალური მასალები, კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტ რესურსები. ენობრივი კომპეტენცია და კომუნიკაციის უნარები უმჯობესდება მოსასმენი მასალების გამოყენებით ენის სასწავლო ლაბორატორიებში.

ინტერაქციული ლექციები: სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სალექციო პროცესში, ერთვებიან კითხვა-პასუხის ფორმატში და ლექტორთან ერთად განიხილავენ სალექციო თემასთან დაკავშირებულ საკითხებს. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, დასვან ახალი კითხვები და ლექტორი, შესაბამისად, სთავაზობს განმარტებებს.

დისკუსია/ დებატები: ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტების გამოწვევას, ჩაერთონ დისკუსიებში, გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და იკამათონ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც წამოჭრილია ლექტორის ან თანაკურსელების მიერ. განიხილება სხვადასხვა თვალსაზრისი, რასაც არგუმენტირებული და ლოგიკური მსჯელობით საფუძვლიან დასკვნებამდე მივყავართ.

გუნდური მუშაობა: გუნდური მუშაობის უნარების განვითარების ხელშესაწყობად აკადემიურ ჯგუფებში ყალიბდება მცირე გუნდები. ეს მიდგომა უბიძგებს ჯანსაღი კონკურენციისკენ და ეხმარება კონკრეტულ ჯგუფს დავალებების ან პროექტების მომზადებასა და პრეზენტაციაში. ის ასევე ხელს უწყობს ლიდერობის უნარების განვითარებას, კონკურენტუნარიანობას და პასუხისმგებლობების განაწილებას გუნდის წევრებს შორის.

შემთხვევის ანალიზი: სწავლების ეს მეთოდი გულისხმობს რეალურ–ცხოვრებისეული წარსული მოვლენების ან შემთხვევების აღწერას, როდესაც სტუდენტები გადაწყვეტილებებს პრობლემის ანალიზის საფუძველზე იღებენ. სტუდენტები ახდენენ მიღებულ ცოდნის ინტეგრირებას, შეფასებას და გამოყენებას პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL): ეს მეთოდი იყენებს პრობლემის გადაჭრას, კვლევას და დისკუსიას, როგორც ცოდნის შეძენისა და ინტეგრაციის საწყის ეტაპებს. ის სტიმულს აძლევს კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებას.

მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება: ეს მეთოდი ხაზს უსვამს თეორიული ცნებების პრაქტიკულ გამოყენებას. ის მოიცავს პრაქტიკულ დავალებებს, ამოცანების დაგეგმვას და პრობლემის გადაჭრის სავარჯიშოებს, რათა სტუდენტებს განუვითაროს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენების უნარი.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება: ამ მეთოდით სტუდენტებს მოეთხოვებათ პროექტებზე მუშაობა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, რეალურ–ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრა ან რთული საკითხების მოგვარება. პროექტის კულმინაცია მოიცავს შედეგების წარდგენას. ეს მიდგომა ხელს უწყობს შინაარსის სიღრმისეულ ცოდნას, კრიტიკულ აზროვნებას,

კრეატიულობას, აკადემიურ წერას, კომუნიკაციის/პრეზენტაციის უნარს და გარკვეულ შემთხვევებში პრაქტიკულ უნარებს.

სწავლებისა და სწავლის არჩეული მეთოდები უზრუნველყოფს თითოეულ სასწავლო კურსში ასახული კონკრეტული შედეგების მიღწევას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ კურსებში, რომელთა სწავლებასაც ისინი აპირებენ, გამოიყენება ზემოთ აღნიშნული სწავლებისა და სწავლის მეთოდები; კონკრეტული მეთოდები და შედეგები დეტალურად არის აღწერილი კურსის სილაბუსში და შეესაბამება პროგრამის უმთავრეს მიზნებსა და ამოცანებს. თითოეული კურსის სილაბუსი შეიცავს დეტალურ ინფორმაციას სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა სასწავლო აქტივობის განრიგის შესახებ.

ბიზნესისა და ადმინისტრაციის სკოლის სხვა სასწავლო პროგრამებიდან გამოკითხულმა უფროსკურსელებმა დაადასტურეს, რომ მასწავლებლები სწავლის დროს იყენებდნენ სწავლებისა და სწავლის მრავალ მეთოდს.

ვინაიდან ბიზნეს ანალიტიკის ნაწილი მოიცავს მონაცემთა ანალიტიკას, აკადემიურმა პერსონალმა, რომელიც ასწავლის შესაბამის საგნებს, დემონსტრირებისთვის და პროექტზე დაფუძნებული აქტივობებისთვის უნდა განიხილოს დიდი მონაცემთა ბაზების გამოყენება, რომლებიც ხელმისაწვდომია მონაცემთა საწყობის „უფასო“ საცავებში (მაგ., Kaggle, Google DataSet Search, GitHub's Awesome Public Datasets და ა.შ.). გარდა ამისა, სტუდენტები შეიძლება წახალისდნენ, რომ მონაწილეობა მიიღონ მონაცემთა ანალიზის შესაბამის კონკურსებში, ინდივიდუალურად ან გუნდურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლების მეთოდების აღწერა;
- პროგრამის აღწერა და სილაბუსები;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრებები სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- უსდ-მ სტატისტიკური და მონაცემთა ანალიზის მიდგომებთან დაკავშირებულ კურსებში უნდა შეიტანოს რეალური მონაცემთა ბაზები სანდო მონაცემთა საცავებიდან, დემონსტრირებისა და პროექტზე დაფუძნებული აქტივობებისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. სწავლებისა და სწავლის მეთოდები	☐	☒	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ის გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ტარდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, არის გამჭვირვალე, სანდო და შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. სტუდენტებს შეუძლიათ გაეცნონ ინფორმაციას შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შესახებ თითოეული კურსის სილაბუსში.

უნივერსიტეტს აქვს 100 ქულიანი შეფასების სისტემა; საბოლოო შეფასება ძირითადად ეფუძნება სამ კომპონენტს: ქვიზები ან პროექტზე მუშაობა სემესტრის განმავლობაში, პრეზენტაცია ან პროექტი ან შუალედური შეფასება და საბოლოო გამოცდა. თითოეული კომპონენტის ჩაბარებისთვის დადგენილია მინიმალური ზღვარი. სტუდენტმა თითოეულ კომპონენტში უნდა დაძლიოს ის მინიმუმი, რომელიც სილაბუსშია განსაზღვრული. დასკვნითი გამოცდის მინიმალური ბარიერია 20 ქულა (50%). სასწავლო კურსის სილაბუსებში დეტალურადაა ასახული შეფასების კომპონენტები შესაბამისი რუბრიკებით და მათი კონკრეტული წილი საბოლოო შეფასებაში. კურსები, რომლებიც ფოკუსირებულია პრაქტიკულ უნარებზე (მაგ. მონაცემთა სტრუქტურები და ანალიტიკა, გადაწყვეტილების მოდელირება Excel-ით, ფუნქციური ანალიზი: მეთოდები და ტექნიკა, ბიზნეს პროცესის ვიზუალიზაცია MS Visio-ს გამოყენებით და ა.შ.) ასევე ხელმძღვანელობს იმავე მოდელით და მოიცავს საბოლოო გამოცდას. ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტების შეფასებას ასეთ კურსებზე უფრო ფართო მასშტაბის პროექტზე დაყრდნობით (ინდივიდუალური ან გუნდური მუშაობა – გუნდური მუშაობის უნარების განვითარება), რაც, ალბათ, უკეთ მიუთითებს სასწავლო მიზნის მიღწევაზე, ვიდრე წერილობითი დასკვნითი გამოცდა).

სტუდენტები იღებენ ინფორმაციას როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი შეფასებების შედეგების შესახებ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის „Online UG" –ის მეშვეობით. სემესტრის განმავლობაში სტუდენტები ეცნობიან მიმდინარე შეფასებებს და შესაბამისად, შესაძლებლობა აქვთ გაიუმჯობესონ შედეგები, განსაზღვრონ გასაუმჯობესებელი სფეროები. ასევე, როგორც გამოკითხულმა სტუდენტებმა განაცხადეს, გამოცდის შეფასების შედეგებთან ერთად, ისინი იღებენ უკუკავშირს კომენტარებისა და შენიშვნების სახით.

სტუდენტს, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას, უფლება აქვს გაასაჩივროს შედეგები. გასაჩივრების პროცესი წინასწარ არის განსაზღვრული და გაწერილი საბაკალავრო დებულებაში. სტუდენტებს, შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, უფლება აქვთ მიმართონ პროგრამის ხელმძღვანელს „Online UG"-ის საშუალებით. სტუდენტებმა განცხადებაში უნდა მიუთითონ, რას არ ეთანხმებიან კონკრეტულად. ეს ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც წყვეტს, რამდენად დასაშვებია საჩივარი. შემდეგ იქმნება კომისია, რომელიც განიხილავს შედეგებს.

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, არ არსებობს რეალური მონაცემები შეფასების შედეგებისა და მათი გამოყენების შესახებ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით. თუმცა, უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებთან, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების საფუძველზე და წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, სტუდენტების შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა გარკვეული გაუმჯობესებები მაინც შესაძლებელია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა და სილაბუსები;
- ბაკალავრიატის დებულება;
- Online UG;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის გაუმჯობესებისთვის:

- უსდ-მ უზრუნველყოს მეტი მოქნილობა სტუდენტების შეფასებისას, განსაკუთრებით პრაქტიკული ორიენტაციის მქონე კურსზე, რათა სტუდენტებმა შესაბამისი უნარები კიდევ უფრო მეტად განავითრონ.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.4. სტუდენტის შეფასება	☒	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეების შესახებ სტუდენტები იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ფაკულტეტისგან, ვებგვერდის (https://www.ug.edu.ge/) დახმარებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ელექტრონული სერვისებით.

პირველკურსელებისთვის იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო და სხვა აქტივობებთან დაკავშირებით. სტუდენტები Online UG-ის საშუალებით იღებენ ინფორმაციას დასაქმების, ასევე სხვადასხვა აქტივობების, მათ შორის გაცვლითი პროგრამების შესახებ. ეწყობა დასაქმების ფორუმები, სტუდენტებს ეგზავნებათ ინფორმაცია აქტიური ვაკანსიების, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და ა.შ. უნივერსიტეტს აქვს ცალკე განყოფილება, რომელიც ინფორმაციას აწვდის და დახმარებას უწევს უცხოელ სტუდენტებს.

ვინაიდან პროგრამა ახალია და არ ჰყავს სტუდენტები, გასაუბრებები ჩატარდა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების სტუდენტებთან (ქართულ და ინგლისურ ენებზე ერთი და იმავე სკოლაში). შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები საკმარისად არ არიან ინფორმირებულები წინასწარ განსაზღვრული კონსულტაციის საათების შესახებ და, ამ მხრივ, კონსულტაციები

ტარდება სპეციალურად, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მასწავლებლებთან შეთანხმებით. ასევე, გასაუბრებისას სტუდენტებმა აჩვენეს რომ ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას საბაკალავრო დებულებით განსაზღვრული შედეგების გასაჩივრების პროცედურების შესახებ და არ იყვნენ სრულად ინფორმირებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული სამეცნიერო ბაზების შესახებ.

სტუდენტებთან და პროგრამის განმახორციელებელებთან გასაუბრების შედეგების, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებგვერდი (https://www.ug.edu.ge/);
- Online UG;
- პერსონალის მოვალეობები;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- დაინერგოს ფიქსირებული საკონსულტაციო საათები ყველა პედაგოგისთვის (აკადემიური და მოწვეული), რაც საჯაროდ გამოცხადდება My UG და UG Online სისტემების მეშვეობით.
- უსდ-მ უზრუნველყოს სტუდენტებში გასაჩივრების პროცესის შესახებ ინფორმირებულობა.
- საბიბლიოთეკო მომსახურება აქტიურად უნდა იყოს ინფორმირებული იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც ბიბლიოთეკა სთავაზობს სტუდენტებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	☐	☒	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ არის მითითებული

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის საკადრო დებულება ასახავს უნივერსიტეტში პერსონალის მართვის ზოგად წესებსა და პრინციპებს. ეს რეგულაციები არეგულირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევასა და ჩართვას პროგრამაში. აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“. პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს კანდიდატების მოძიებას პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამის დეპარტამენტთან ან სკოლის დირექტორთან შეთანხმებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება და აკადემიური მიღწევები მოწმდება მათ პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციის საშუალებით, მათ შორის რეზიუმეების, განათლების სერთიფიკატების, კვალიფიკაციებისა და აკადემიური ხარისხების ან წოდებების ჩათვლით. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა ფასდება მათი პირადი მონაცემების შემოწმებით, ხოლო მოწვეულ პერსონალს აქვს დიდი გამოცდილება კერძო ბიზნესში, საჯარო სექტორში და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 37 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 15 აკადემიური პერსონალია, 5 პროფესორი და 10 ასოცირებული პროფესორი, ხოლო 22 მოწვეული სპეციალისტი. ამრიგად, აკადემიური პერსონალი შეადგენს პროგრამის განხორციელების 40%-ს, ხოლო მოწვეული პერსონალი შეადგენს დარჩენილ 60%-ს. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის – 0.68.

საქართველოს უნივერსიტეტმა დაადგინა აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის მარეგულირებელი დადგენილებები, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი საშტატო დებულებაში. სრულ განაკვეთზე აკადემიური პერსონალის წევრები მუშაობენ კვირაში 40 საათს (დღეში 8 საათი), ხოლო ნახევარ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალის დატვირთვა და ანაზღაურება განისაზღვრება საათობრივი პრინციპით. ნახევარ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა შეესაბამება მათი დატვირთვის პროპორციას. გარდა აკადემიური პასუხისმგებლობისა, ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლებმა კვირაში მინიმუმ ორი საათი უნდა დაუთმონ საკონსულტაციო სესიებს და მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის ღონისძიებებში, როგორც ეს შეთანხმებულია სასწავლებლის დირექტორთან ან დეპარტამენტის ხელმძღვანელთან.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა განისაზღვრება სასწავლო წლის დატვირთვის სქემით, რომელიც უნდა დაამტკიცოს პროგრამის საბჭომ. თუ თანამშრომელს უკავია როგორც აკადემიური, ასევე სამეცნიერო თანამდებობა, მათ აკადემიურ დატვირთვას ადგენს პროგრამის საბჭო. ამასთანავე, სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს ინტენსიურ ფაზაში, სამეცნიერო თანამდებობის არმქონე მუდმივი აკადემიური პერსონალი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს საგანმანათლებლო მოვალეობებისაგან ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. ასეთ შემთხვევებში საგანმანათლებლო დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში დასაქმებულ მეცნიერ-მუშაკს.

საქართველოს უნივერსიტეტმა ასევე დაადგინა წესდება საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელშიც აღწერილია პროგრამის ხელმძღვანელის (აკადემიური დეკანის) დანიშვნის პროცესი, უფლებები და მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული ყველა პროგრამის აკადემიურ მართვასა და განვითარებაზე. პროგრამის ხელმძღვანელის კანდიდატურას ამტკიცებს სკოლის საბჭო კათედრის ხელმძღვანელის რეკომენდაციით და ისინი ექვემდებარებიან კათედრის გამგეს. ახალი თანამშრომლების მიღება ხდება საკადრო დებულებით დადგენილი წესების თანახამად.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ამჟამინდელი სურათი ასეთია (ექსპერტთა ჯგუფისთვის წარდგენილ მათ პირად ფაილებში არსებული ინფორმაციის მიხედვით):

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულები თ პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულები თ დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის აფილირებულ ი აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**37**	**30**	**12**	**12**
– პროფესორი	5	4	4	5
– ასოცირებული პროფესორი	10	10	6	7
- ასისტენტ–პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	22	16	2	_
სამეცნიერო პერსონალი				_

აკადემიური პერსონალი განეკუთვნება ან ბიზნესისა და ადმინისტრირების სკოლას, რომელიც უკვე გვთავაზობს პროგრამებს ბიზნესის ადმინისტრირებაში, ან მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლას, რომელიც გვთავაზობს პროგრამებს ინფორმატიკასა და მათემატიკაში. მასწავლებელთა რაოდენობა საკმარისია როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი თვალსაზრისით, პროგრამის სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს ძლიერი საგანმანათლებლო და სამეცნიერო გამოცდილება; მათგან 10 ფლობს ბიზნესის, მენეჯმენტისა და ინფორმატიკის დოქტორის ხარისხს და გააჩნიათ

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მნიშვნელოვანი კვლევები [32 ნაშრომი საერთაშორისო ჟურნალებში, 22 ადგილობრივ ჟურნალებში, პრეზენტაციები კონფერენციებზე (19 საერთაშორისო, 14 ადგილობრივი), არიან წიგნების ავტორები და მონაწილეობენ კვლევით პროექტებსა და სამეცნიერო გრანტებში]. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ მათ აქვთ გამოცდილება, დაინტერესებულნი არიან სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებით და იციან სილაბუსებში აღწერილი სხვადასხვა სასწავლო აქტივობის შესახებ.

მოწვეული პერსონალი, რომელთა უმეტესობა ბიზნეს ანალიტიკის სფეროებში ძლიერი პროფესიონალური გამოცდილების მქონეა, ჩართული იქნება პროგრამის განხორციელებაში და, სავარაუდოდ, ისინი თავიანთ პროფესიული გამოცდილებას საკლასო ოთახში შეიტანენ. მოწვეული პერსონალის სია მოიცავს 2 დოქტორს, 6 პირი აგრძელებს დოქტორანტურაში სწავლას, დანარჩენები კი ჩართულნი არიან სადოქტორო კვლევებში. ზოგიერთ მოწვეულ პერსონალს უმაღლეს სასწავლებელში სწავლების შეზღუდული გამოცდილება აქვს, ამიტომ აუცილებელია გადამზადება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ყველა პერსონალმა შეცვალოს და გაამდიდროს თავისი საგნების შინაარსი და გადმოცემის ხერხები პროგრამის მიზნების მხარდასაჭერად, განსაკუთრებით არასამეწარმეო/მენეჯმენტის საგნებში, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს ისე, რომ აქცენტი კეთდებოდეს თუ როგორ ერწყმის ინფორმატიკა, ბიზნეს ანალიტიკა და რაოდენობრივი მეთოდები ბიზნესისა და მენეჯმენტის ფუნქციებს.

სასწავლო პროგრამას მართავს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთს აქვს განათლება ეკონომიკასა და ბიზნესში, მეორეს კი პროფესიული გამოცდილება საინფორმაციო ტექნოლოგიებში. პროგრამის სტრუქტურა მოითხოვს აქტიურ სინერგიას თანამშრომლებს შორის, რომლებიც ასწავლიან კურსებს ოთხი სხვადასხვა მიმართულებით: ბიზნესი/მენეჯმენტი, ბიზნეს ანალიტიკა, ინფორმატიკა და მათემატიკა/რაოდენობრივი მეთოდები, ამიტომ პროგრამის მმართველი საბჭოს ჩამოყალიბება, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მოცემულ სფეროებში გამოცდილი პერსონალით და მოიცავს პროგრამის ხელმძღვანელებს, შეიძლება სასარგებლო იყოს პროგრამაში ჩართული მასწავლებლებისთვის, რათა მათ გაუჩნდეთ პროგრამის მფლობელობის შეგრძნება.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი აქტიურ როლს ასრულებს საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტების მომსახურეობისთვის. ამჟამად სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურში მუშაობს 14 თანამშრომელი, ბიბლიოთეკაში – 6, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში – 5, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში – 7, სტუდენტურ საქმეთა ცენტრში – 2. გარდა ამისა, უნივერსიტეტში დასაქმებულია რეგისტრატურის თანამშრომლები, რომლებიც ემსახურებიან სტუდენტებსა და ლექტორებს, რაც მათ საშუალებას აძლევს პირდაპირი კომუნიკაცია დაამყარონ სხვადასხვა დეპარტამენტებთან, მათ შორის ფინანსურ სამსახურთან, კანცელარიასთან, განათლების მენეჯერთან და საერთაშორისო დეპარტამენტთან.

რაც შეეხება პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელს, საქართველოს უნივერსიტეტში ადმინისტრაციული პერსონალის ნებაყოფლობითი ბრუნვა 15%-ზე დაბლა რჩება, რაც მიუთითებს კადრების შენარჩუნების 85%-იან მაჩვენებელზე, რაც მისასალმებელია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის დატვირთვას სხვა უსდ-ებში;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის ბრუნვის ინდექსი (აქტიური პროგრამის შემთხვევაში) და შედეგების ანალიზი;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, პირადი საქმე;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობა;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მოწვეულ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგები აკადემიურ გარემოში გაცნობისა და შერწყმის, პროგრამის მიზნებისა და ამოცანების გააზრებისა და გაზიარებისთვის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ არის მითითებული

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ რეგულარულად ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და აანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით მუშაობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი აწარმოებს რეგულარულ მონიტორინგს და შეფასებას პროგრამაში ჩართული როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო და აკადემიური საქმიანობის შესახებ. პერსონალის მუშაობის შეფასებაზე პასუხისმგებელი შეფასების კომიტეტი შედგება მუდმივი და სპეციალური წევრებისაგან. მუდმივი წევრები არიან უნივერსიტეტის რექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ადამიანური კაპიტალის სამსახურის წარმომადგენლები. ლექტორების საქმიანობის შესახებ უკუკავშირი მიიღება სტუდენტების მიერ შევსებული ელექტრონული გამოკითხვით და ამ უკუკავშირის საფუძველზე მიიღება შესაბამისი ზომები. ამ შეფასებების შედეგები შემდგომ განიხილება კომისიის ფარგლებში.

გასაუბრებების დროს გაირკვა, რომ უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო საქმიანობას. შეფასების შედეგებს ითვალისწინებენ პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისთვის. ამის საილუსტრაციოდ, აკადემიურმა პერსონალმა გასაუბრების დროს წარმოადგინა მაგალითები საკუთარი და კოლეგების გამოცდილებიდან.

უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს და ახალისებს პერსონალის სამეცნიერო საქმიანობას. იგი სთავაზობს თანადაფინანსებას და სრულ ფინანსურ მხარდაჭერას სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში სტატიების გამოსაქვეყნებლად, კონფერენციებში მონაწილეობისთვის და სხვა სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვისთვის. უნივერსიტეტმა შექმნა აუცილებელი პირობები, მათ შორის მატერიალური და ფინანსური რესურსები, რათა ხელი შეუწყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებების დროს, ინდივიდებმა მოიყვანეს პირადი გამოცდილების მაგალითები, როდესაც უნივერსიტეტმა დაფარა მათი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების ხარჯები, ჩაუტარდათ ტრენინგები გამოქვეყნების შესახებ, ისაუბრეს, თუ როგორ იყვნენ თავად და ფაკულტეტის სხვა კოლეგები ჩართულები ერაზმუსის სასწავლო ვიზიტებში და ა.შ. გარდა ამისა, საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც რეგულირდება კონკრეტული დებულებით. ინსტიტუტი ფუნქციონირებს როგორც უნივერისტეტის სტრუქტურული ერთეული და მიზნად ისახავს:

- სამეცნიერო–კვლევითი პროექტების შიდა (უნივერსიტეტის) და გარე დაფინანსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობების მართვას და კოორდინაციას;
- დაამყაროს ურთიერთობები როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო საერთაშორისო, რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან სამეცნიერო კვლევითი პროექტების მოზიდვისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით;

- უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე და დასრულებული სამეცნიერო კვლევითი პროექტების მართვის ხელშეწყობას და კოორდინაციას, სამეცნიერო კვლევების სასწავლო პროცესთან ინტეგრირებას.

სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისას სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი გასცემს ბონუსს თავისი ბიუჯეტიდან, ინსტიტუტის დებულების დანართ No.1-ში მოცემული პირობების გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კვლევით ინიციატივებში და კონფერენციებში.

გასაუბრების დროს ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა გარკვეული (ცოტაოდენი) შემთხვევები, როდესაც მასწავლებლების ინგლისური ენის ცოდნა საჭიროებს განახლებას. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა, და, კონკრეტულად, პროგრამამ, გაითვალისწინოს ლექტორების ინგლისური ენის ცოდნის დონე, რადგან მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ინგლისურენოვანი ლექციების ეფექტურობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები;
- სამეცნიერო და კვლევითი მუშაობის ხელშეწყობის მექანიზმები;
- უსდ–ს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო და/ან სამეცნიერო/კვლევით პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძებებში პერსონალის ჩართულობის მონაცემები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უსდ-მ ხელი შეუწყოს და წაახალისოს სასწავლო პერსონალი განაახლონ და განავითარონ ინგლისური ენის ცოდნა, რადგან პროგრამა და კომუნიკაცია სტუდენტებთან ინგლისურ ენაზე იქნება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის	☒	☐	☐	☐

პროფესიული განვითარება				

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის სფეროსთან დაკავშირებული აუცილებელი ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობოთ, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა აღჭურვილია აკადემიური პროცესის მხარდასაჭერად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ეს მოიცავს შესაბამის ინვენტარს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საკლასო ოთახებს პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებითა და პროექტორებით, კომპიუტერული ლაბორატორიებს, საგამოცდო ცენტრს და ბიბლიოთეკას.

პრაქტიკული, კვლევითი და სამეწარმეო უნარების გასაუმჯობესებლად, საქართველოს უნივერსიტეტში მუშაობს ინოვაციური ცენტრს სახელწოდებით „სტარტაპ ფექთორი“. Startup Factory აწყობს რეგულარულ შეხვედრებს და სტარტაპ საუბრებს ინგლისურ და ქართულ ენებზე. სტუდენტებს აქვთ წვდომა ინოვაციური ცენტრის მატერიალურ რესურსებზე, მათ შორის საერთო სამუშაო ადგილებზე, ტექნიკურ აღჭურვილობაზე და საგანმანათლებლო რესურსებზე, როგორიცაა ვიდეო ლექციები, ჩანაწერები და ონლაინ ლიტერატურა. ეს რესურსები გამოიყენება სტარტაპებზე წინასწარი აქსელერაციის, აქსელერაციისა და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს.

პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებსა და საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებთან, რომლებიც მითითებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტებსა და თანამშრომლებს წვდომა აქვთ ცნობილ საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე, როგორიცაა HINARI, Cochrane Library, Scopus, EBSCO, JSTOR, Science Direct და HeinOnline. უნივერსიტეტის ელექტრონული კატალოგი შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: ug.edu.ge/library. ბიბლიოთეკაში ინახება საჭირო და დამატებითი ლიტერატურის კოლექცია, როგორც ეს მითითებულია პროგრამის სილაბუსებში.

უსაფრთხოებისა და თვდაცვის მიზნით, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე წესრიგს იცავს საქართველოს უნივერსიტეტის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სამსახური. სერვისი იყენებს სათვალთვალო კამერებს, იცავს უნივერსიტეტის შენობებსა და ინვენტარს, აკონტროლებს უცხოელების შემოსვლას უნივერსიტეტის შენობებში, მართავს სტუდენტთა წვდომას საშვის საშუალებით და არეგულირებს ვიზიტორთა წვდომას უნივერსიტეტში.

საქართველოს უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა დანერგა. ეს სისტემა იძლევა მოსწავლეთა ინფორმირებულობისა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგის საშუალებას. სტუდენტებისთვის ის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისების სისტემაში მათი პირადი გვერდისა და ელექტრონული პლატფორმის „My UG“ საშუალებით (ბმული: my.ug.edu.ge/login). ეს პლატფორმა ფუნქციონირებს როგორც სტუდენტებს, ადმინისტრაციასა და პროფესორებს შორის გამარტივებული კომუნიკაციის ოფიციალური საშუალება.

უნივერსიტეტში არის კომპიუტერული ოთახები, რომლებიც აღჭურვილია უნივერსიტეტში არსებული ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით. თუმცა, როდესაც გამოკითხულ სტუდენტებს (ბიზნესის ადმინისტრირების ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამებიდან) ჰკითხეს, თუ რა საჭიროებდა გაუმჯობესებას უნივერსიტეტში/ფაკულტეტზე, მათი ერთსულოვანი პასუხი იყო სტუდენტებისთვის კომპიუტერული სივრცეების ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის შენობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლიოთეკა, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსები;
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე და შესაბამისი სერტიფიკატები;
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ადგილზე მონახულება;
- ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი კატალოგი, სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ელექტრონული ბაზები;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსინალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტის შენობაში და კონკრეტულად ფაკულტეტზე გაიზარდოს კომპიუტერების რაოდენობა, რადგან შეთავაზებული პროგრამების რაოდენობა იზრდება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.4. მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი იძლევა პროგრამის ფინანსური საქმიანობის სრულყოფილ მიმოხილვას, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლებს, ასევე ხარჯებს. ბიუჯეტის საფუძვლიანი ანალიზი ადასტურებს შემოსავლების გენერირების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს ხარჯების შესაბამისობას პროგრამის საჭიროებებთან. თუმცა, სამეცნიერო საქმიანობისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსება დაწესებულების კონსოლიდირებული ბიუჯეტიდან მოდის.

კერძოდ, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბიუჯეტი გამოიყოფა სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების მხარდასაჭერად. ეს მოიცავს უშუალოდ მის დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების დაფინანსებას, ასევე შიდა გრანტებს. ბიუჯეტი მოიცავს სხვადასხვა ასპექტს, როგორიცაა კონფერენციების ორგანიზება, კონფერენციის მონაწილეებისთვის ფინანსური დახმარება, სტატიების მომზადებისა და გამოქვეყნების მხარდაჭერა, მივლინებებში ჩართული პერსონალის დაფინანსება, წარმომადგენლობითი ხარჯების დაფარვა და ა.შ.

პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური გაანგარიშება ეფუძნება პროგრამასთან დაკავშირებული მონაცემების ზედმიწევნით ანალიზს. ესენია:

- სწავლებისა და პრაქტიკული მეცადინეობისთვის აუცილებელი საკონტაქტო საათები;
- სალექციო საათების ანაზღაურება;
- სასწავლო პროცესში სტუდენტის მატერიალური მხარდაჭერა;
- გაუთვალისწინებელი ხარჯების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროგრამის განმავლობაში;
- მარკეტინგის ხარჯები;
- ადმინისტრაციული პერსონალის სახელფასო ხარჯები;
- და სხვა შესაბამისი ელემენტები, რომლებიც აუცილებელია პროგრამის გამართული ფუნქციონირებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრება ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და, აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის განსავითარებლად.

5.1 ხარისხის შიდა შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების

შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზის დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საკითხებს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სკოლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის N51/20 ოქმით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დებულებების“ და „ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ინსტრუქციების“ საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხარისხის შეფასებას ახორციელებს შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახური.

ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“ ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2)კურიკულუმის მიხედვით განხორციელება; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების განხილვა და პროგრამის მოდიფიკაცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და საქართველოს უნივერსიტეტის სკოლები ჩართულნი არიან არსებული სერვისების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხდება სამიზნე ჯგუფების გამოკითხვით და სასწავლო პროცესზე დაკვირვებით. გამოკითხვის ფორმები მოიცავს ისეთი საკითხების შეფასებას, როგორიცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილება, სწავლის შედეგები, მენეჯმენტის პროცესების შეფასება, ინფრასტრუქტურა, განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის შეფასება, მატერიალური ბაზა და ა.შ. მიღებული ინფორმაციის შედეგების საფუძველზე ხდება მონაცემების დამუშავება, იდენტიფიცირდება ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის შიდა შეფასება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, ჩატარდა კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან. მათ მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებული იყო პროგრამის შემუშავების პროცესში.

ბიზნესისა და ადმინისტრირების სკოლაში შექმნილი „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საბჭო“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც პროგრამების გაუმჯობესებაში, ასევე ხარისხის შიდა შეფასებაში. საბჭოს წევრები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცესში, ჩართულნი არიან სასწავლო პროცესისა და შედეგების შეფასებაში. ისინი მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ეხება საგანმანათლებლო მიზნების ჩამოყალიბებას, პროგრამების შედეგების დადგენას და მათ მოდიფიკაციას.

თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი ატარებს საბაკალავრო პროგრამის შეფასებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით, ასევე ატარებს გასაუბრებებს დაინტერესებულ მხარეებთან, შეისწავლის ბაზარს,

იკვლევს პროგრამის განვითარების ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ პროგრამაში. თუმცა, უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია სათანადო დოკუმენტაცია და მტკიცებულება სასწავლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ. შესაბამისად, რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებაში ჩართული პერსონალი მუშაობდნენ არა მხოლოდ ხარვეზების იდენტიფიცირებაზე, არამედ გამოვლენილი სისუსტეების და ქმედებების გაანალიზებაზე და მათი გამოსწორების გზებზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს არ წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულება ან ანგარიშები განხორციელებული ქმედებების შესახებ. რეკომენდებულია მომზადდეს ანგარიშები, რომლებიც ასახავს პასუხებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე.
უნივერსიტეტში სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიება და ტრენინგი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა უნივერსიტეტში არსებული პროგრამების გასაუმჯობესებლად ჩატარებული აქტივობების/ტრენინგების ჩამონათვალი. თუმცა, გასაუბრებების დროს დაინტერესებულმა მხარეებმა, როგორიცაა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ვერ ახსნა სილაბუსის შედგენის პრინციპები, რომლებიც დაკავშირებულია მიზნებთან და შედეგებთან, წერის სტანდარტებთან, სწავლების მეთოდებთან, შეფასების მეთოდებთან და შედეგების შეფასების პრინციპებთან (იხილეთ: სტანდარტი 1.2, 1.3, 1.5 აღწერა და სათანადო რეკომენდაციები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფა;
- ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ინსტრუქცია;
- ბაზრის კვლევა;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, მომიჯნავე პროგრამის დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაინტერესებული მხარეების (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) ჩართულობის გაზრდა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში.
- რეკომენდებულია მომზადდეს ანგარიშები, რომლებიც ასახავს პასუხებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.1 ხარისხის შიდა შეფასება	☐	☒	☐	☐

5.2 ხარისხის გარე შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასებისთვის. ბიზნეს ანალიტიკის მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამისა (ქართულ ენაზე) და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებასა და დახვეწას. თუმცა, წარმოდგენილ პროგრამაში წინა რეკომენდაციების მხოლოდ ნაწილია დანერგილი და ჯერ კიდევ გასათვალისწინებელია საკმარისი რაოდენობის რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია პროგრამის სტრუქტურასთან და სასწავლო კურსებთან (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: MES 3 22 0001665583, 27.12.2022). მიზანშეწონილია აკრედიტაციის საბჭოს მიერ ქართულენოვანი ბიზნეს ანალიტიკის პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება ინგლისურენოვან ბიზნეს ანალიტიკის პროგრამისთვის.

პროგრამის გარე შეფასებას ახორციელებენ დამსაქმებლები და დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც ჩართულია პროგრამის სწავლის შედეგების, პროგრამის შინაარსის და სტრუქტურის შემუშავებაში. თუმცა, ეს გარე შემფასებელი ამავე დროს არის პროგრამის დამსაქმებელი; ასევე იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და ამავდროულად წარმოადგენს სიახლეს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროსთვის, რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლების მიერ.

ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის შეფასება თანამედროვე დასაქმების ბაზრისთვის საჭირო კომპეტენციებისა და უნარების გამოკვლევის თვალსაზრისით.

პროგრამის მოდიფიკაციისას გათვალისწინებული იქნა შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გარე ექსპერტის შეფასება;
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან, მომიჯნავე პროგრამის დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეკომენდაციები ქართულენოვანი ბიზნეს ანალიტიკის პროგრამასთან დაკავშირებით და გამოიყენოს ისინი ინგლისურენოვანი ბიზნეს ანალიტიკის პროგრამისთვის.
- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და ამავდროულად სიახლეს წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში, რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის ან/ და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლების მონაწილეობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია პროგრამის შეფასება მოხდეს მონათესავე პროგრამის კურსდამთავრებულთა მიხედვით თანამედროვე დასაქმების ბაზრისთვის საჭირო კომპეტენციებისა და უნარების კვლევის კუთხით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.2. ხარისხის გარე შეფასება	☐	☒	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგით. ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს კურსებსა და ლექტორებს სტუდენტების გამოკითხვებზე დაფუძნებული კითხვარების მეშვეობით (გამოკითხვა ხელმისაწვდომია ,,Online UG"ელექტრონულ სისტემაში). ხდება კურსით სტუდენტების კმაყოფილების გაანალიზება და მიღებული შედეგების დამუშავება პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით.

ადაინტერესებული მხარეების ჩართულობა ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესში ნაწილობრივ დასტურდება, დაწესებულება წარადგენს პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პერსონალთან შეხვედრების გარკვეულ ოქმებს, დამსაქმებლების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებებს, რომელშიც აღწერილია მონაწილეთა შეფასებები, მათი რეკომენდაციები და შეთავაზებები. ამ პროცესში ჩართულობა დასტურდება ყველა დაინტერესებული მხარესთან გასაუბრების დროს, თუმცა ისინი ვერ ასახელებენ პროგრამის მენეჯერის მიერ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების კონკრეტულ შემთხვევებს (იხილეთ: სტანდარტი 5.1 აღწერა და სათანადო რეკომენდაციები).

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები ესწრებიან ლექციებს/პრაქტიკულ ტრენინგებს მონიტორინგის მიზნით, აანალიზებენ სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ინდივიდუალური სასწავლო კურსის გასაუმჯობესებლად. შედეგებს ასევე აცნობენ მასწავლებელს და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციებსა და რჩევებსაც უზიარებენ. ამ ეტაპზე პროგრამა არ იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას, რომელიც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციებზე დასწრებას და უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; თუმცა, პროგრამის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა გამოთქვა პროცესში ჩართვის სურვილი.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრების მონიტორინგს, რომლის შედეგები მუშავდება სასწავლო კურსების, ლექტორებისა და სკოლების მიხედვით. სეგრეგირებული მონაცემები სკოლების მიხედვით განიხილება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საბჭოს მიერ. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასების შედეგებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პროცესის გასაუმჯობესებლად. ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია და პირველად გადის აკრედიტაციის პროცესს, აღნიშნული მექანიზმი ჯერ არ ამოქმედებულა და მისი განხორციელება სამომავლოდ იგეგმება. თუმცა, უნივერსიტეტმა არ მოგვაწოდა მომიჯნავე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები, რათა უზრუნველყოფილიყო მექანიზმის ჩამოყალიბება და პროგრამის შედეგების შეფასება; შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულარულად გააანალიზოს სტუდენტების აკადემიური მოსწრება, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი არის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც ასახულია მათ მიერ წარდგენილ ყოველწლიური ან სემესტრული ანგარიშებში. ანგარიშები ასახავს ინფორმაციას მათი მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, ადგილობრივი ან საერთაშორისო გრანტების მოზიდვის შესახებ და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტივობა დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებებით და აკადემიური პერსონალის CV-ებით, და, ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ცალკეული ინფორმაციით აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ, დაწესებულებას არ წარმოუდგენია აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასების ანგარიშები; შესაბამისად, სასურველია დაწესებულებამ რეგულარულად განახორციელოს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით დადგენილი აქტივობები, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასება და შედეგების გამოყენება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივაციისა და განვითარების მიზნით.

პროგრამის თვითშეფასების პროცესში მოხდა პროგრამის შედარება უცხოურ უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს პროგრამებთან, რაც დასტურდება შესაბამისი გასაუბრებით და ანალიზის შედეგებიც დოკუმენტირებულია.

მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური ინდიკატორების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტურობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიკაცია და გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საორიენტაციო დოკუმენტი უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამებით;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, მომიჯნავე პროგრამის დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულარულად გააანალიზოს სტუდენტების აკადემიური მოსწრება, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია პროგრამამ გამოიყენოს განმავითარებელი ურთიერთშეფასება, რომელიც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ლექციებზე დასწრებას და უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
- სასურველია, დაწესებულებამ რეგულარულად განახორციელოს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით დადგენილი აქტივობები, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასება და შედეგების გამოყენება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივაციისა და განვითარების მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა	☐	☒	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, დონე: ბიზნეს ანალიტიკა, ბაკალავრიატი, უმაღლესი განათლების I საფეხური

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	☐	☒	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☒	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები	☐	☒	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა კოლეგიის თავმჯდომარე

პანდელის იპსილანდისი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

დავით სიხარულიძე

ქეთევან ქავთარაძე

ილია ბოცვაძე

ეკა ავსაჯანიშვილი